

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა „მასწავლებელთა განათლება“

მამაგულაშვილი ნატო

სახელთა სწავლების პრაქტიკის კვლევა ზოგადსაგანმანათლებლო
სკოლის დაწყებით და საბაზო საფეხურზე

ნაშრომი შესრულებულია მასწავლებლის განათლების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ზაქარია ქიტიაშვილი,
განათლების მეცნიერებათა დოქტორი,
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი ეხება სახელთა სწავლების პრაქტიკის კვლევას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით და საბაზო საფეხურზე. ნაშრომის განკუთვნილია გაარკვიოს თუ როგორ ასწავლიან სახელებს დაწყებით და საბაზო საფეხურზე, რომელ მეთოდებს და სტრატეგიებს იყენებენ მასწავლებლები. სწორედ, ამიტომ სამაგისტრო ნაშრომში აღნიშნული თემა, არის **აქტუალური**, რადგან ქართულ ენაში სახელთა აქტიური სწავლების მეთოდების შესახებ არსებული სამეცნიერო და მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები არის მწირი რაოდენობით.

დამუშავებულმა ლიტერატურამ ცხადყო, რომ ქართულ ენაში სახელების სწავლების პრაქტიკის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით და საბაზო საფეხურზე, არსებული კვლევითი ნაშრომი არ მოგვეპოვება. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ თემატიკაზე ჩატარებული წინამდებარე კვლევა ორიგინალურია და წარმოადგენს **სიახლეს**.

სამაგისტრო თემის **მიზანია** სახელთა სწავლების პრაქტიკის კვლევა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით და საბაზო საფეხურზე, ამისათვის დავისახეთ შემდეგი **ამოცანები**:

- სამაგიდე კვლევა: არსებული კვლევები, საკანონმდებლო ბაზა;
- კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა;
- კვლევის ინსტრუმენტის შემუშავება;
- მონაცემთა ანალიზი

ნაშრომის კვლევის **საგანია** ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით-საბაზო საფეხურზე სახელთა სწავლება, ხოლო **ობიექტი** - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით-საბაზო საფეხურზე სახელების სწავლების პროცესი.

სამაგისტრო ნაშრომში გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის **მეთოდი**, კერძოდ, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ, შევიმუშავეთ კვლევის ინსტრუმენტად კითხვარი საორიენტაციო კითხვებისთვის. რესპოდენტებად **მიზნორივად** შევარჩიეთ თბილისის კერძო და საჯარო სკოლის დაწყებითი და საბაზო საფეხურის 35 მასწავლებელი.

Mamagulashvili Nato

Name Learning Practice Study at the Primary School and Basic Level

Annotation

The master's thesis concerns the practice of teaching in the primary school and the basic level. The work is intended to find out how to teach the names on the primary and basic level, which methods and strategies are employed by teachers. That's why the topic in the Master's paper is relevant, since scientific and methodical manuals on the methods of active teaching in the Georgian language are scarce.

The elaborated literature has shown that in the Georgian language the practice of the name of the general education school does not have an existing research work on the primary and primary level. Therefore, this research conducted on the abovementioned subject is original and represents the novelty.

The Masters theme aims at researching the practice of the teaching of the general school at primary and basic level, for the following tasks:

- Desktop research: existing research, legislative base;
- Determination of research methodology;
- Development of research tool;
- Data analysis

The subject of research is the name of teaching at the primary and primary level of secondary school, and the object - the process of teaching the names at primary and primary level of primary school.

In the master's thesis we used the qualitative research method, namely semi-structured interviews, developed as a research tool for questioning orientation questions. 35 teachers in primary and primary school in Tbilisi private and public school were selected as the respondents.

სარჩევი

შესავალი.....	5
თავი I - საკითხის განსაზღვრისთვის	7
§1.1. გრამატიკის სწავლების გზები, მეთოდები და ხერხები	7
§1.2. სახელთა სწავლება.....	9
თავი II - ქართული ენის სწავლების ისტორიისთვის.....	38
თავი III - ქართული ენის სწავლება- სამართლებრივი ასპექტები დღეს.....	42
თავი IV - სახელების სწავლების მეთოდოლოგიური ტენდენციები გრიფირებული სახელმძღვანელოების მაგალითზე.....	46
თავი V - სახელთა სწავლება თანამედროვე მეთოდიკურ გზამკვლევებში.....	52
თავი VI - მცირე მეთოდიკური გზამკვლევი	56
კვლევითი ნაწილი.....	59
დასკვნები	64
რეკომენდაციები	66
გამოყენებული ლიტერატურა:.....	68

შესავალი

ქართული ენის სწავლებას საჯარო სკოლაში უდიდესი ზოგადსაგანმანათლებლო და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. გრამატიკული წესების ცოდნა ხელს უწყობს მოსწავლეს მხატვრულ ნაწარმოებთა შინაარსის და ფორმის მიხედვით ათვისებას, მათ ენობრივ თავისებურებათა გათვალისწინებას. მოსწავლეებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს გრამატიკის სწავლებას მართლწერისა და სწორადმეტყველების საქმეში.

გრამატიკის სწავლებისას დიდი ადგილი უკავია სახელებს, რომლებიც მნიშვნელოვანი მეტყველების ნაწილებია. სახელთა შესწავლით იწყებენ მოსწავლეები მორფოლოგიის ათვისებას. სახელების შესწავლით მოსწავლეები სწავლობენ სწორადმეტყველებას, მათი შესწავლის საფუძველზე მდიდრდება და ვითარდება მოსწავლეთა მეტყველება. მათ შესწავლას უკავშირდება მართლწერის არაერთი საკითხი.

სამაგისტრო ნაშრომი ეხება სახელთა სწავლების პრაქტიკის კვლევას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით და საბაზო საფეხურზე. ნაშრომის განკუთვნილია გაარკვიოს თუ როგორ ასწავლიან სახელებს დაწყებით და საბაზო საფეხურზე, რომელ მეთოდებს და სტრატეგიებს იყენებენ მასწავლებლები სახელთა სწავლებისას. სწორედ, ამიტომ სამაგისტრო ნაშრომში აღნიშნული თემა, არის **აქტუალური**, რადგან ქართულ ენაში სახელთა აქტიური სწავლების მეთოდების შესახებ არსებული სამეცნიერო და მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოები არის მწირი რაოდენობით. ამ ეტაპზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში გვაქვს მხოლოდ ორი საგნობრივი გზამკვლევი, მათგან ერთი 2011 წელს გამოიცა ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისათვის, ხოლო 2013 წელს კი-საბაზო საფეხურის მასწავლებლებისთვის. მოცემული გზამკვლევები ეფუძნება 2011-2016 წლების ეროვნულ სასწავლო გეგმას.

სამაგისტრო თემის ფარგლებში გავაანალიზეთ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულაციები, წინასწარ შემუშავებული ზოგადი ინდიკატორების მიხედვით დავამუშავეთ დაწყებითი და საბაზო საფეხურის ქართულის გრიფირებული სახელმძღვანელოები სახელთა სწავლების კუთხით. დამუშავებულმა ლიტერატურამ ცხადყო, რომ ქართულ ენაში სახელების სწავლების პრაქტიკის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით და საბაზო საფეხურზე, არსებული

კვლევითი ნაშრომი არ მოგვეპოვება. აქედან გამომდინარე, აღნიშნულ თემატიკაზე ჩატარებული წინამდებარე კვლევა ორიგინალურია და წარმოადგენს **სიახლეს**.

სამაგისტრო თემის **მიზანია** სახელთა სწავლების პრაქტიკის კვლევა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით და საბაზო საფეხურზე, გრამატიკის, კერძოდ სახელების სწავლების თანამედროვე მდგომარეობის კვლევა, არსებული პრობლემების გამოვლენა და მათს დასაძლევად რეკომენდაციების გაწერა; პრობლემების ანალიზის საფუძველზე მეთოდოლოგიური გზამკვლევის შემუშავება, ამისათვის დავისახეთ შემდეგი **ამოცანები**:

- სამაგიდე კვლევა: არსებული კვლევები, საკანონმდებლო ბაზა;
- კვლევის მეთოდოლოგიის განსაზღვრა;
- კვლევის ინსტრუმენტის შემუშავება;
- მონაცემთა ანალიზი

ნაშრომის კვლევის **საგანია** ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით-საბაზო საფეხურზე სახელთა სწავლება, ხოლო **ობიექტი** - ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით-საბაზო საფეხურზე სახელების სწავლების პროცესი.

სამაგისტრო ნაშრომში გამოვიყენეთ თვისებრივი კვლევის **მეთოდი**, კერძოდ, ნახევრადს ტრუქტურირებული ინტერვიუ, შევიმუშავეთ კვლევის ინსტრუმენტად კითხვარი საორიენტაციო კითხვებისთვის. რესპოდენტებად **მიზნორივად** შევარჩიეთ თბილისის კერძო და საჯარო სკოლის დაწყებითი და საბაზო საფეხურის 35 ქართულის მასწავლებელი.

თავი I - საკითხის განსაზღვრისთვის

§1.1. გრამატიკის სწავლების გზები, მეთოდები და ხერხები

ა) გზები

გრამატიკული მასალის შესასწავლად გამოიყენება ორი გზა: ინდუქცია და დედუქცია. გრამატიკული სწავლების ორი გზა საკმაოდ ცნობილია პრაქტიკაში. სწავლების გზა ინდუქციურია, როცა ახალი მასალის სწავლება მიემართება კერძო, კონკრეტული ფაქტების ანალიზიდან ზოგადისაკენ, წესისაკენ. ხოლო თუ სწავლება საპირისპირო მიმართულებას იღებს. ე.ი. ჯერ სათანადო გრამატიკული წესი ისწავლება და შემდეგ ხდება კონკრეტული მაგალითების ანალიზი, მაშინ სწავლების გზა დედუქციურია. სინამდვილეში სწავლების ეს ორივე გზა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ავსებს ერთმანეთს, მათი ასეთი გამოცალკევება რამდენადმე პირობითია. გრამატიკის ელემენტარული კურსის სწავლებისას უპირატესობა ენიჭება ინდუქციას, რამდენადაც იგი უკეთ მიესადაგება, როგორც შესწავლილი მასალის ხასიათს, ისე მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებას (თალაკვაძე, მ. 1959).

ბ) მეთოდები

ტრადიციულად გრამატიკის სწავლებაში ორ მეთოდს - საუბარსა და თხრობას - გამოყოფენ. თხრობის მეთოდი უძველესია. მას ჯერ კიდევ მაშინ იყენებდნენ სწავლების პროცესში, როცა სახელმძღვანელო არ არსებობდა და მოსწავლეს ყველაფერი მასწავლებლის ზეპირსიტყვიერი გადმოცემით უნდა ესწავლა. ერთგვარი არაა სწავლებაში ამ მეთოდის გამოყენება სხვადასხვა საგნის მიმართ. მის გამოყენებას უპირატესობას აძლევენ ლიტერატურის, ისტორიის სწავლებისას. მას მრავალი პლუსი აქვს: 1) ასახსნელი მასალა მოსწავლეებს გადაეცემათ მთლიანობაში, დალაგებულია გარკვეული ლოგიკური თანმიმდევრობით; 2) მასწავლებლის გაბმული მეტყველება დადებით გავლენას ახდენს მოსწავლეზე; 3) შედარებით ეკონომიურია დროის თვალსაზრისით. აქვს უარყოფითი მხარეც - ამ დროს მოსწავლე უშუალოდ არ მონაწილეობს ახალი მასალის ახსნის პროცესში და მხოლოდ პასიური მსმენელია. მისი ყურადღება იფანტება, ვერ ახდენს მის კონცენტრირებას, დუნდება და ხშირად ითიშება კიდევ გაკვეთილის პროცესიდან, სწორედ ამიტომ გრამატიკის სწავლებისას იგი შედარებით ნაკლებად გამოიყენება, განსაკუთრებით კი - ადრეულ ეტაპზე. თუმცა არის

ზოგიერთი საკითხი, რომელთა ახსნა მხოლოდ თხრობის მეთოდით არის შესაძლებელი (ანზანის რიგი, ასოთა სახელწოდებები...). თხრობის მეთოდს იყენებს, აგრეთვე მასწავლებელი შემაჯამებელი საუბრისას-დასკვნების გაკეთებისას. რომელი მეთოდითაც არ უნდა ვაწვდიდეთ გრამატიკულ მასალას, გრამატიკული წესებისა და განსაზღვრებათა ფორმულირება მაინც თხრობის მეთოდით ხდება. ამგვარად, ის ყოველთვის გამოიყენება გაკვეთილზე ცალკე თუ სხვა მეთოდთან ერთად. მასწავლებლის სიტყვა, მისი თხრობა გრამატიკული განსაზღვრებების მიწოდების საუკეთესო საშუალებაა.

გრამატიკის ელემენტარული კურსის სწავლებისას უფრო ეფექტურია საუბრის მეთოდის გამოყენება. თხრობის მეთოდის მსგავსად იგი უძველესია. განასხვავებენ მის ორ სახეს: ევრისტიკულსა და კატეხიზურს. პირველი უფრო ახალი მასალის ახსნისას გამოიყენება, მეორე კი - ახსნილის ცოდნის განსამტკიცებლად.

ევრისტიკული მეთოდი (შდრ. ბერძნული: ევრიკა – აღმოჩენა) გულისხმობს მასწავლებლის მიერ წინასწარ გონივრულად შერჩეული კითხვების გამოყენებით მოსწავლის თანდათანობით მიყვანას ახალი მასალის გაცნობიერებამდე. ყოველი კითხვით მოსწავლეებს ვაყენებთ ახალ-ახალი, ადვილად მისახვედრი ამოცანის წინ და ასე სიძნელეთა ნაწილ-ნაწილ დაძლევის გზით მიგვყავს ისინი მათთვის უცნობი ინფორმაციის „აღმოჩენამდე“. ევრისტიკული მეთოდი ძალზე აქტიურად გამოიყენება ბოლო წლებში, როდესაც დღის წესრიგში დადგა ე.წ. „ინტერაქტიული“ სწავლება, ანუ ისეთი სწავლება, როდესაც მასწავლებელთან ერთად მოსწავლეა გაკვეთილის წამყვანი. ამ მეთოდის გამოყენებამ უზრუნველყო მოსწავლის აქტიური ჩართვა საგაკვეთილო პროცესში, იგი პასიური მსმენელიდან მასწავლებლის პარტნიორად გადაიქცა. ევრისტიკული მეთოდი ძალზე ეფექტურია გრამატიკის სწავლებისას, მაგრამ იგი მასწავლებლისაგან დიდ პედაგოგიურ დახელოვნებასა და თეორიულ განათლებას მოითხოვს. მთავარ სირთულეს აქ ქმნის კითხვების გონივრულად შერჩევა. ევრისტიკულ მეთოდს ახლავს სხვა სირთულეებიც, კერძოდ, დიდ დროს მოითხოვს, არ ხერხდება მასალის მთლიანობაში მიწოდება; ახსნა ზოგჯერ მოკლებულია საჭირო სიზუსტეს და ა.შ. მიუხედავად ამისა, ეფექტურობის თვალსაზრისით მას სხვა მეთოდი ვერ შეედრება. ევრისტიკული მეთოდით შეძენილი ცოდნა, როგორც კვლევის, ძიებისა და მსჯელობის

შედეგი, უფრო დამაჯერებელი და მტკიცეა. მისი გამოყენება აჩვენებს მოსწავლეებს დამოუკიდებელ მსჯელობას, საკუთარი აზრის დასაბუთებას, უმუშავეს ენობრივი მასალის ანალიზის უნარს. იგი იწვევს მოსწავლეთა შემოქმედებითი ძალების მაქსიმალურ ამოქმედებას. რაც შეეხება **კატეხიზურ მეთოდს**, იგი გულისხმობს წინასწარ მოცემულ კითხვებზე პასუხების დაზეპირებას. ამგვარი კითხვები, როგორცწესი, ყოველი შესასწავლი პარაგრაფის ბოლოს არის მოცემული და იგი ძირითადად გამოიყენება განმეორებისა და ცოდნის განმტკიცებისათვის.¹

გ) ხერხები

ხერხებად, ჩვეულებრივ, მიიჩნევა გაკვეთილის ამა თუ იმ მომენტშია ხალი მასალის ასახსნელად გამოყენებული საშუალება. გრამატიკის სწავლების ხერხებად მიიჩნევენ: გრამატიკულ გარჩევას, ენაზე დაკვირვებას, შედარება-შეპირისპირებას, კითხვების ხერხს, ჩასმის (ჩანაცვლების) ხერხს...

გრამატიკის სწავლების ეს ხერხები თან ახლავს როგორც თხრობის, ისე საუბრის მეთოდს. სწავლებაში ამ ხერხების გამოყენების მნიშვნელობა მეტად დიდია. ისინი აადვილებენ, უფრო ნათელსა და გასაგებს ხდიან მოსწავლეთათვის შესასწავლ კატეგორიას და ხელს უწყობენ მათი აზროვნებისადა მეტყველების განვითარებას (მაღლაკელიძე, ნ. 2013).

§1.2. სახელთა სწავლება

სანამ უშუალოდ სახელთა სწავლებაზე გადავიდოდეთ, მინდა ორიოდე სიტყვით განვმარტო მოცემული თავის „სახელთა სწავლება“ თავისებურებანი. სამაგისტრო ნაშრომის ფარგლებში, გვინდოდა მიმოგვეხილა სახელთა სწავლება მეთოდოლოგიური თვალსაზრისით. მოგეხსენებათ, გრამატიკული საკითხების მეთოდოლოგიური ანალიზი მოიცავს გარკვეულ სირთულეებს. დღესდღეობით არ არსებობს სრულყოფილად დამუშავებული ქართული ენის გრამატიკის სწავლების სახელმძღვანელო, გარდა 1959-1975 წლებში გამოცემული მარიამ თალაკვაძის „ქართული ენის გრამატიკის მეთოდოლოგია“, ასევე ნათელა მაღლაკელიძის ქართული ენის სწავლების მეთოდოლოგია/დიდაქტიკა, რომელიც განკუთვნილია მხოლოდ I-VI კლასებისთვის. თუმცა, კი ვფიქრობთ, რომ

¹ მაღლაკელიძე, ნ. ქართული ენის სწავლების მეთოდოლოგია/დიდაქტიკა I-VI კლასები, თბ., 2013

მაღლაკელიძე საყრდენ პრინციპად იყენებს თალაკვაძეს, რადგანაც მარიამ თალაკვაძის სახელმძღვანელო გახლავთ ერთადერთი ქრესტომათიული ტიპის სამეცნიერო დონის სისტემური ნაშრომი.

ჩვენი სამაგისტრო თემა ეყრდნობა სწორედ ამ ორი ავტორის სახელმძღვანელოს. შევეცადეთ დაგვემუშებინა ზემოთ ხსენებული სახელმძღვანელოები და შემცირებული სახით წარმოგვედგინა სახელთა სწავლებასთან დაკავშირებული ძირეული საკითხები, რომელთა სწავლებაც დღესდღეობით პრობლემას წარმოადგენს. ასევე წარმოდგენილი გვაქვს ზოგადი მეთოდები, გზები და ხერხები, რომელთა გამოყენებაც საჭიროა გრამატიკის სწავლებისას.

ჩვენი მიზანია, წარმოვადგინოთ სახელთა სწავლების მეთოდიკური ანალიზი, ამისთვის გამოვიყენეთ მარიამ თალაკვაძის სახელმძღვანელო. ნაშრომის თეორიული მასალა ეყრდნობა მის თეორიულ ხედვებს.

არსებითი სახელის სწავლება

არსებითი სახელი ერთი-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი მეტყველების ნაწილთაგანია. მეტად დიდი ადგილი ეთმობა მას მეტყველებაში. შეიძლება ითქვას, ზმნის შემდეგ, მეტყველებაში გამოყენების თვალსაზრისით, მას ვერც ერთი სხვა სახელი ვერ შეედრება. არსებითი სახელის შესწავლით მოსწავლეთათვის გასაგები ხდება მისი ლექსიკური მნიშვნელობა, რომ იგი სახელია არა მხოლოდ ფიზიკური საგნებისა, არამედ გრამატიკული საგნისა საერთოდ. არსებით სახელთა შესწავლით მოსწავლე ეცნობა სახელთა ცვლის თავისებურებებს - ბრუნების სისტემას ქართულში და იმას, თუ რად გამოიყენება იგი მეტყველებაში, რა როლს ასრულებს წინადადებაში. არსებით სახელთა შესწავლის საფუძველზე მდიდრდება და ვითარდება მოსწავლეთა მეტყველება; მის შესწავლას უკავშირდება მართლწერის არაერთი საკითხი.

არსებითი სახელი მოსწავლეთათვის დაწყებითი სკოლიდანაც ნაცნობია, მათ იციან, რომ საგნის სახელი არსებითი სახელია. იციან არსებითი სახელის კითხვები ვინ? რა? დაწყებით სკოლაშივე ეცნობა მოსწავლე არსებით სახელთა ბრუნებას: ბრუნვებსა და ბრუნვის ნიშნებს, რიცხვს, ფუძესა და მისი მონახვის ხერხს და არსებით სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებულ მართლწერის უმარტივეს საკითხებს. აქვე ეძლევათ მათ ელემენტარული წარმორმოდგენა არსებით სახელთა ფუნქციაზე, მათ გამოყენებაზე.

არსებითი სახელის რაობა და ჯგუფები შინაარსის მიხედვით

დაწყებითი სკოლიდან მოსწავლემ იცის, რომ „საგნის სახელი არსებითი სახელია“, მაგრამ საგანი ამ საფეხურზე მოსწავლის შემეცნებაში მხოლოდ რეალურად არსებულ ფიზიკურ საგანს აღნიშნავს. გრამატიკაში საგნის ცნება მხოლოდ რეალური საგნებით არ განისაზღვრება. ცნებას „არსებითი სახელი“ „საგნობრივი წარმოდგენა ახლავს: აღნიშნავს ფიზიკურ სამყაროში რეალურად არსებულ საგანს (ან მის ნაწილს), ან კიდევ გრამატიკული ნიშნების მიხედვით მასთან გათანაბრებულ სიტყვას, რომელიც აღნიშნავს რამეს ადამიანის ფსიქიკური მოქმედების სფეროდან ან ასახელებს საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე მოვლენას“. საგნობრიობა-აი არსებითი სახელის არსებითი ნიშანი, მისი ნიშანდობრივი მხარე.

შესწავლილის საფუძველზე მოხდება საგნის სახელების, ე.ი.არსებით სახელთა ამოცნობა სათანადო კითხვების დასმით ვინ? და რა? აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს კითხვები გრამატიკაში მხოლოდ საგანს დაესმის. ამის შემდეგ მიეცემა განყენებული არსებითი სახელები-ტანჯვა, დარდი, ოცნება, რეალობა, სიმამაცე, სილაღე და სხვა. გაირკვევა, რომ ეს სიტყვები (სახელები), თუმცა რეალურ საგანს არ აღნიშნავენ, მაგრამ კითხვა მათაც რა დაესმის. ამდენად ეს სიტყვებიც საგნის სახელებია გრამატიკულად.

თვისებისა და მოქმედების აღმნიშვნელ სახელთა საგნობრიობის გასაცნობად საჭიროა ამ სახელთა შეპირისპირება მათ ძირეულ სახელებთან და კითხვების დასმით მათი ერთმანეთისგან გარჩევა.

გაკეთდება დასკვნა, რომ გრამატიკაში საგნის ცნება, მისი ლექსიკური მნიშვნელობა გაცილებით ფრო ფართოა, ვიდრე საგანი რეალურად. გრამატიკაში საგანი ჰქვია ყველაფერს რასაც დაესმის კითხვა: ვინ? ან რა?.

ცხადია, არსებითი სახელის ასეთი დახასიათება ცალმხრივია, სემანტიკურია. ამ განსაზღვრაში არ ჩანს მისი ძირითადი, არსებითი ნიშანი, რომ იგი იბრუნვის; ამიტომაც ბრუნების შესწავლის შემდეგ არსებითი სახელის განსაზღვრა უნდა შეივსოს: „არსებითი სახელი საგნის სახელია, რომელიც იცვლება ბრუნების მიხედვით. ის მოგვიგებს კითხვებზე: ვინ? რა?“.

არსებით სახელთა შინაარსობრივი ჯგუფების შესწავლა ურთიერთთან დაპირისპირებით უნდა მოხდეს; მაგალითად:სულიერთა და უსულოთა, ვინ და რა ჯგუფის,საკუთარ და საზოგადო სახელების და ა.შ.

სულიერთა და უსულოთა სახელების ერთმანეთისგან მოძრაობის მიხედვით გარჩევასთან ერთად აუცილებელია სულიერ საგანთა ჯგუფებზეც გავამახვილოთ ყურადღება: მოსწავლემ უნდა იცოდეს, რომ სულიერ საგანთა სახელებს განეკუთნებიან ადამიანების, ცხოველების, ფრინველების,თევზების,ქვეწარმავლების სახელები,ხოლო დანარჩენი საგნის სახელი - უსულო სახელება.

საკუთარი და საზოგადო სახელების სწავლებისას საკუთარ სახელებად პირველ რიგში გეოგრაფიული ადგილის სახელები უნდა მივაწოდოთ,ხოლო შემდეგ ადამიანთა სახელები. ამას აქვს გამართლება. მოსწავლე ძნელად სწვდება იმას, რომ დავით,პეტრე,ნინო და სხვა საკუთარი,ერთი საგნის სახელია.გეოგრაფიული სახელები კი მართლაც ერთ სახელზე მიუთითებენ,ერთი რომელიმე ადგილის თუ მდინარის სახელია; მაგ.:მტკვარი,ლიახვი,რუსთავი,თბილისი,კიევი და სხვა.

საკუთარი და საზოგადო სახელების სწავლებასთან დაკავშირებით მოსწავლეებისათვის გასაგები უნდა გავხადოთ, რომ საკუთარი სახელი შეიძლება საზოგადოდ იქცეს და პირიქით, საზოგადო - საკუთრად; მაგალითად:ხიდისთავი წარმოშობით საზოგადო სახელია, მაგრამ როგორც გარკვეული სოფლის სახელი საკუთრად იქცა; ასეთივეა ახალციხე,ახალქალაქი,აჭარისწყალი, და სხვა. პირიქითაცაა შემთხვევა, როცა საკუთარი სახელი საზოგადო სახელად იქცა. მაგალითად: კვაჭი (სახელი)და კვაჭი(მოხერხებული, გაიძვერა) და ა.შ.

კრებითი სახელი ერთნაირ საგანთა კრებულს ნიშნავს. ცხადია იგი საზოგადო სახელს უკავშირდება. კრებითი სახელის გასაცნობად ისეთი ნიმუში უნდა მიეცეს, რომელშიც ერთი და იგივე სახელი იქნება როგორც ცალკე, ერთეულ საგნის აღმნიშვნელად ისე კრებითისაც. მაგალითად: ცხვარი (ერთი) და ცხვარი (ბევრი: ცხვარში წავიდა). ასევე სტუდენტი -სტუდენტობა,ქართველი-ქართველობა და ა.შ.

არსებით სახელთა შინაარსობრივი ჯგუფების შესწავლის საფუძველზე მოსწავლეთათვის ნათელი უნდა გახდეს, რომ აღწერითი ხასიათის მხატვრულ თუ სხვა სახის მასალაში (იქნება ის ბუნების აღწერა, მოწყობილობის, ყოფაცხოვრებისა თუ სხვა)

არსებითი სახელები ყოველთვის ფართოდაა გამოყენებული, ამიტომაც ასეთი მასალის კითხვისას საჭიროა ამ საკითხზე საგანგებოდ გამახვილდეს ყურადღება.

არსებით სახელთა ბრუნება

ბრუნება და ბრუნვები ქართულში

ბრუნება არსებითი სახელის ძირითადი გრამატიკული კატეგორიაა. არსებით სახელის ბრუნების შესწავლა, საერთო სახელთა ბრუნების შესწავლის საფუძველია.

ბრუნება, როგორც ცნობილია, ბრუნვათა მიხედვით ცვლას ნიშნავს. ბრუნება გაბმულ მეტყველებაში სახელს აკავშირებს სახელთან ან ზმნასთან სათანადო შინაარსის გადმოსაცემად.

აღსანიშნავია, რომ ქართულში სახელები ყველა იბრუნვის, ისეთებიც კი, რომლებიც ნასესხებია ბრუნვის უქონელი ენებისგან ან ისეთი ენებისგან, რომლებსაც სახელთა ბრუნება შეიძლება მოეპოვებოდეს საზოგადოდ, მაგრამ ზოგიერთი სახელი მაინც უბრუნველი ჰქონდეს.

ბრუნება ქართულში ერთია, მაგრამ ქართული ენის ფონეტიკურ თავისებურებათა გამო ბრუნების ნაირ-ნაირ სახეობას ვიღებთ. მიუხედავად ამისა ქართულში „ყველა სახელი ერთნაირად იცვლება“, ბრუნვის ნიშნები ყველა სახელს ერთნაირი აქვს.

დღევანდელ სალიტერატურო ქართულში შვიდი ბრუნვაა, რაც ასახულია გრამატიკებშიც. ამჟამად ქართულში ბრუნვები განლაგებულია შემდეგი თანმიმდევრობით: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი და წოდებითი. ბრუნვათა ასეთი თანმიმდევრობა განპირობებულია ქართული ენის თავისებურებებით. ემყარება ის ფონეტიკურს, მორფოლოგიურსა და სინტაქსურ საფუძვლებს.

არსებით სახელთა ბრუნების სწავლებისას მოსწავლეთათვის გასაგები უნდა გახდეს, რომ 1) არსებითი სახელი ფორმას იცვლის არა დამოუკიდებლივ (დამოუკიდებლივ ის მხოლოდ სახელობითი ბრუნვის ფორმით გვხვდება), არამედ სხვა სიტყვებთან ურთიერთობისას; 2) ლექსიკური მნიშვნელობით ბრუნვის ფორმები ერთია, მაგრამ განსხვავებულია ფორმის წინადადებაში მოხმარების თვალსაზრისით; 3) სახელის ყოველი ფორმა ორი ნაწილისგან შედგება; ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელი (ფუძე) და ფორმის მცვლელი (ბრუნვის ნიშნები) ნაწილისგან.

დაწყებით სკოლაში ბრუნების შესახებ მიღებული ცოდნის გამეორებასთან დაკავშირებით უნდა გავაცნოთ ბრუნვის ნიშანთა გავრცობა, გავრცობა ბრუნვის ნიშანზე ა-ს დართვას ნიშნავს, ეს ა არაა ბრუნვის ნიშნის აუცილებელი ელემენტი, იგი უფრო საჭიროებას უპასუხებს, ვიდრე მორფოლოგიურ ნორმას წარმოადგენს. ეს გამავრცობელი (ემფატიკური) ა ბრუნვის ფორმას დაერთვის:

1. სიტყვაზე (ან ბრუნვის ფორმებში) ც ნაწილაკის დართვისას, მაგალითად: ბავშვსაც, ბავშვითაც ბავშვადაც.
2. სადაც ჩამოთვლაა და-ს წინ უმჯობესია გავრცობილი ფორმის ხმარება; მაგალითად: დედას, მამას, დასა და ძმას.
3. როდესაც ნათესაობითი ბრუნვის ფორმა მსაზღვრელია და მოსდევს საზღვრულს; მაგალითად: სახლი ხისა, წიგნი მოწაფისა, „კაცია ადამიანი!“ ილია ჭავჭავაძისა და სხვა.

სახელის რიცხვი

სახელის რიცხვის (მხოლობითი, მრავლობითი) გამეორებასთან დაკავშირებით აუცილებელია მოსწავლეთათვის გასაგები გახადოთ განსხვავება არითმეტიკულ და გრამატიკულ რიცხვს შორის. არითმეტიკული რიცხვი ყოველთვის რაღაც გარკვეულ რაოდენობაზე მიგვითითებს. მაგალითად: ათი წიგნი, ხუთი ფანქარი, ასი მოსწავლე და ა.შ. აქ არითმეტიკული რიცხვები (ათი, ხუთი, ასი) გარკვეულ რაოდენობაზე მიგვითითებენ. გრამატიკაში კი გარკვეული რაოდენობის რიცხვის გაგება მხოლოდ მხოლობითი რიცხვის ცნებასთან არის დაკავშირებული: გრამატიკაში მხოლობითი რიცხვი მარტო ერთ საგანს აღნიშნავს; რაც შეეხება მრავლობით რიცხვს იგი არ მიუთითებს გარკვეულ რაოდენობაზე, იგი საგანთა შორის რაოდენობრივ განსხვავებას კი არ აღნიშნავს, არამედ საგანთა ყოველგვარ რაოდენობას, თუკი ის ერთზე მეტია. ამ ცნებას „მრავლობითი რიცხვი“ რაოდენობრივი გარკვეულობა აკლია.

ქართულში მრავლობითი რიცხი ორგვარად გამოიხატება: **ებ** (კაცები, კლდეები) და **ნ/თ** (კაცნი, კლდეთა) ბოლოსართთა საშუალებით. **ებიანი** მრავლობითი უფრო ახალია და თანამედროვე ქართულში საყოველთაოდ გავრცელებული. **ნ/თანია** კი - ძველი, ამჟამად შედარებით ნაკლებად გარცელებული მეტყველებაში. გრამატიკაში **ებიანი** მრავლობითს პირველ მრავლობითს უწოდებენ, **ნ/თ** იანს კი - მეორეს.

არსებით სახელთა ჯგუფები ფუძეთა მიხედვით

„ბრუნვის ნიშანთა სახეცვლილების მიხედვით სახელები ორ დიდ ჯგუფად იყოფა: ერთია ის სახელები, რომელთაც ფუძის ბოლოკიდურად ანუ უკანასკნელ ბგერად თანხმოვანი მოუდის და მეორეა ის სახელები, რომელთაც ფუძის ბოლოს ხმოვანი უზიით. ამგვარად ქართულში ფუძის მიხედვით სახელთა ორი ჯგუფია: თანხმოვანზე გათავებული ფუძეები. ბრუნებისას არსებით სახელთა ჯგუფებში ფონეტიკური ფაქტორების ზეგავლენით ზოგჯერ ადგილი აქვს ფუძის ცვალეზადობას-კუმშვას თანხმოვანზე დამთავრებულ სახელებში და კვეცას-ხმოვანზე გათავებულებში. ამისდა მიხედვით თანხმოვანზე გათავებული სახელებიდან გამოიყოფა ფუძე-უკუმშველი და ფუძეკუმშვადი სახელები; ხმოვანფუძიანებიდან გამოიყოფა ფუძეკვეცადი და ფუძეუკვეცელი სახელები, თითოეული ამ სახელთაგანი იმის და მიხედვით, თუ რომელი ხმოვანი იკარგება ბრუნებისას, რამდენიმე სახეობას გვიჩვენებს.

არსებით სახელთა ბრუნების თანმიმდევრობისთვის

ფუძესა და ზოგჯერ ბრუნვის ნიშნებში მომხდარ ცვლილებათა გამო ქართული ენა სახელთა ბრუნების დაახლოებით 13 სახეობას (ყალიბს) განასხვავებს. „ფუძის მიხედვით ბოლოთანხმოვნიანი იყოფა ორ ჯგუფად: არაკუმშვად და კუმშვადად. ამათში არაკუმშვადი ერთ ტიპს წარმოადგენს, კუმშვადი კი ხმოვნის რედუქციის (შეკუმშვის) კვალობაზე ოთხ ტიპს იძლევა (1. ა-ს და 2. ე-ს ამოღება უკვალოდ, 3. ო-ს გადაქცევა ვ-დ და 4. ო-ს გადაქცევა ვ-დ და დაკარგვა). ბოლოხმოვნიანი იყოფა სამ ჯგუფად: კვეცადად, კუმშად-კვეცადად და არაკვეცადად. ამათში კვეცადი ორი ტიპისაა: 1. -ა კვეცადი და 2. -ე კვეცადი. კუმშვად-კვეცადი ერთი ტიპისაა, არაკვეცადი კი ხუთი ტიპისა (1.-ა, 2.-ე, 3.-ო, 4.-უ და 5. -ი ბოლოკიდურიანი). მაშასადამე ფუძის მიხედვით მივიღეთ 13 ტიპი.

ფუძე უკუმშველი სახელების ბრუნება შედარებით მარტივია: ცვლილებას არ განიცდის არც ფუძე და არც ბრუნვის ნიშნები. ამასთანავე ამ სახელებში ყველაზე უკეთ არის წარმოდგენილი ბრუნვის ნიშნები და საერთოდ ბრუნების კატეგორია: ფუძე სრულია, ბრუნების ნიშნებიც მთლიანი სახითაა მოცემული.

კუმშვადებში ერთი სირთულეა გადასალახავი. ფუძიდან ხმოვნის ამოვარდნა მხოლოდითი რიცხვის სამ ბრუნვაში: ნათესაბითში, მოქმედებითსა და ვითარებითში და ებიან მრავლობითის ყველა ბრუნვაში, კუმშვადთა თანმიმდევრობა ასეთია: ა-ე-ო. ა-სა და

ე-ს რედუქცია მოვლენის თვასაზრისით განსხვავებულ ვითარებას არ წარმოადგენენ, ამოტომ ა-ს კუმშვას ვასწავლით პირველად, თუ ე-სას, სულ ერთია. მხოლოდ ორივე უნდა უსწრებდეს ო-ს. ო-ს რედუქცია შედარებით რთულია: მოვლენის განვითარების მიხედვით ო ჯერ ვ-დ იქცა, ხოლო შემდეგ ბაგისმიერი ბგერების მეზობლობაში სულ დაიკარგა. შემდეგი ადგილი კვეცადებს ეთმობა: ჯერ ე-ს მოკვეცა უდა გავაცნოთ შემდეგ ა-ს, გამოწვეულია ეს შემდეგით:

1) ე ბოლოხმოვნიაზეში ადვილია ვითარებითი ბრუნვის ნიშნის გარკვევა(კლდედ, მეურვე-დ, ა ხმოვანფუძიანი სახელების ვირველად გაცნობისას შესწავლილის საფუძველზე მოსალოდნელია ვითარებითი ბრუნვის ნიშნად მოსწავლემ ად გამოყოს; დედ-ად) და 2) ე-ნიან სახელებში კვეცას ადგილი აქვს მარტო მხოლოდითი რიცხვის ნათესაობითა და მოქმედებითში, მრავლობით რიცხვში ე-ნიანი სახელები არ იკვეცებიან, რის გამოც ის ნაკლები სირთულის შეკვეციელი.

კვეცადთა შემდეგ მოდის კუმშვად-კვეცადი სახელები; ცალ-ცალკე ორივე მოვლენა (კუმშვაცა და კვეცაც) შესწავლილია. აქ ახალი სირთულე იქმნება ორივე მოვლენის ერთ სიტყვაში გათვალისწინება. უკანასკნელი რიგი უკვეცილებს ეთმობა, უკვეცილებში პირველად ო-სა და უ-ზე დაბოლოებულთა ბრუნება უნდა გაეცნოს, რადგანაც უკვეცილობა ძირითადად მხოლოდ ამ ხმოვნებზე დაბოლოებული სახელებსათვისაა დამახასიათებელი, ამასთანავე ო-სა და უ-ზე დაბოლოებული სახელები საკუთარიცაა და საზოგადოც. ა-წარმოქმნილ სახელებში და ადამიანთა საკუთარ სახელებში გვხვდება (წითელა, ცხენი, კახა), ხოლო ე და ი მხოლოდ ადამიანთა სახლებში (ელენე, გიორგი), ი-ზე დამთავრებულ სახელთა ბრუნების სულ ბოლოს გადატანა გამოწვეულია მისი სახელობითი ბრუნვის ი ნიშანთან აღრევის აცილებით.

ამგვარად, ბრუნების ეს თანმიმდევრობა გამართლებულია „ბრუნების ისტორიითაც და მოთოდოკურადაც“.

თანხმოვანფუძიან არსებით სახელთა ბრუნება

ბრუნების სწავლება ძირითადად კუმშვად სახელთა სწავლებით უნდა დავიწყოთ, მაგრამ წინასწარ საფუძვლიანად უნდა იქნეს განმეორებული უკუმშველთა ბრუნება, სწავლება სხვა მეთოდებთან და ხერხებთან ერთად უმთავრესად ფორმათა შეპირისპირებით წარიმართება. კუმშვად სახელთა ბრუნების სწავლებისას ორმხრივი

შეპირისპირებაა საჭირო: ა)შეპირისპირება თვით კუმშვადი სახელის ფუძეებისა და სხვადასხვა ბრუნვებში(ნათესაობითის,მოქმედებითისა და ვითარებითი ბრუნვის ფორმებისა სხვა ბრუნვის ფორმებთან) და ბ) შეპირისპირება უკუმშველ სახელთან. შეპირისპირება ასე წარიმართება:

სახელობითი	სახლ-ი	მამალ-ი
მოთხრობითი	სახლ-მა	მამალ-მა
მიცემითი	სახლ-ს	მამალ-ს
ნათესაობითი	სახლ-ის	მამალ-ის
მოქმედებითი	სახლ-ით	მამალ-ით
ვითარებითი	სახლ-ად	მამალ-ად
წოდებითი	სახლო	მამალ-ო

თვით კუმშვადი სახელის სხვადასხვა ბრუნვის ფორმების შეპირისპირებით მოსწავლეთათვის გასაგები გახდება ფუძეში მომხდარი ცვლილება: სამ ბრუნვაში (ნათესაობით,მოქმედებითში,ვითარებითში) ფუძიდან ა-ხმოვნის ამოვარდნა, მიეცემა წესი: **ფუძიდან ხმოვნის ამოვარდნას კუმშვა ეწოდება.** „სახლისა“ და „მამლის“ შეპირისპირებით გაირვევა, რომ „სახლ“ ფუძე ყველა ბრუნვაში უცვლელია, „მამალ“ ფუძე კი ზოგ ბრუნვაში იცვლება.ეცნობა ტერმინები „უკუმშველი“, „კუმშვადი“ და მათი ლექსიკური მნიშვნელობა. ტერმინის ლექსიკური მნიშვნელობის ახსნასთან დაკავშირებით მოსწავლეთათვის გასაგები უნა გავხადოთ,რომ კუმშვა ფუძიდან ხმოვნის ამოვარდნას ნიშნავს და არა ყოველგვარი ბგერისას. იგი სიტყვის მარცლიანობასთანაა დაკავშირებული-სიტყვის მარცლიანობი მიხედვით შემცირებას, შემოკლებას ნიშნავს.

ბრუნვის ნიშნებზე დაკვირვებითა და მათი ერთმანეთთან შედარება-შეპირისპირებით (პირველ რიგში შესადარებლად აღებულ უნდა იქნეს მოთხრობითი და მიცემითი) მოსწავლეთათვის გასაგები გახდება, რომ კუმშვა ხდება ბრუნვებში,რომელთა ბრუნვის ნიშნები ხმოვნებით იწყება.მიეცემა წესი: **„სახელის ფუძის კუმშვას იწვევს ხმოვნით დაწყებული ბრუნვის ნიშნის (სუფიქსის) დართვა“.** სახელობითისა და წოდებითში ფუძის კუმშვას ადგილი არა აქვს. თუმცა ბრუნვის ნიშნები ხმოვნებია (და არა ხმოვნით დაწყებული). ეს იმიტომ,რომსახელობითის ი ბრუნვის სხვა (ის, ით

..)ნიშნებთან შედარებით გვიანდელი წარმოშობისაა ცალკე სიტყვებისგან; სახელდობრ, იგი-სგან და ალბათ ამის გამოა, ფუძის ხმოვანს ვერ კუმშავს" (ვ. თოფურია).

რამდენადმე განსხვავებულია **ო**-ს დაკარგვა. ეს განსხვავებულობა შემდეგში იჩენს თავს:

1. 1.ფუძიდან ამოღებულია **ო**, მის ნაცვლად მიღებულია უმარცვლო უ,რომელიც ვ-ინითაა გადმოცემული(მინდორი- მინდვრის,მაწონი - მაწვნის, ნიორი-ნივრის);
2. „ფუძიდან ამოღებულია **ო**, მოსალოდნელი ნარედუქციალი უმარცვლო უ დაკარგული ბაგისმიერი ბგერის გავლენით" (ქოჩორი-ქოჩრის, ფოთოლი-ფოთლის, საპონი-საპნის და ა.შ.) მაშასადამე, **ო**-ს დაკარგვა განსხვავებულია ა-სა და ე-ს დაკარგვისგან.

კუმშვა მოსდით უმთავრესად ისეთ სახელებს, რომელთაც ფუძე უმთავრდებათ **ამ,ან, არ, ალ, ემ,ენ,ერ,ელ,ოლ,ონ,ორ**-ზე (ამ დაბოლოებათა ფორმულა ასეთია: სამი ხმოვნის ა,ე,ო,) და ოთხი თანხმოვნის (მ,ნ,რ,ლ,) ნაერთია). იშვიათად არის რიგი სხვა დაბოლოებათა მქონე სახელებიც, რომლებსაც ფუძე ეკუმშებათ: მაგალითად: ნაბადი-ნაბდის, ბეჭედი- ბეჭდის; სომეხი-სომხის;ხოხობი-ხოხბის და სხვა.მაგრამ ასეთი სახელები ერთეულებია.არის ისიც, რომ ზოგიერთი არ, ალ და ა.შ. დაბოლოებათა მქონე სახელები უკუმშველია: მაგალითად: ქალი,ქარი, კარი,თვალი,(ადმიანის მხედველობის ორგანო) და სხვა.კუმშვად სახელთაგან ზოგიერთი სახელი თავისებურებასაც ამჟღავნებს. **ამბავი** და **ხუცესი** კუმშვადი სახელებია, მაგრამ ამ სახელებში კუმშვის შემდეგ ხმოვანი იკარგება. მაგალითად: ამბავი-ნათ., მოქმედ. და ვით.-ში ფუძის შეკუმშვის შედეგად უნდა გვექონოდა **ამბ ვ- ის, ამბ ვ-ით, ამბ ვ -ად**, მაგრამ ბაგისმიერი თანხმოვნების თავმოყრის გამო სპირანტი **ვ** დაკარგულია და გვაქვს **ამბის, ამბით, ამბად**. ასევე **ხუცეს** ფუძის შეკუმშვის შედეგად უნდა გვექონოდა **ხუცს-ის,ხუც ს -ით, ხუცს-ად**, მაგრამ **ცს** კომპლექსის გამოთქმის სიძნელის გამო **ს** დაკარგული ჩანს ამიტომაც გვაქვს **ხუცესი, ხუცესმა, ხუცესს, ხუცის, ხუცით, ხუცად, ხუცესო**.

ნ/თანინი მრავლობითის სწავლება

ბოლოთანხმოვნიან სახელთა სწავლების შემდეგ ეცნობა ნ/თანინი მრავლობითის აქ მრავლობით აწარმოებს ნ და თ. გამომდინარეობს დასკვნა, რომ გარდა ებიანი მრავლობითისა ქართულში გვაქვს მეორე მრავლობითიც, რომელიც ნ/თ იწარმოება, რის გამოც მას ნ/თანინ მრავლობითს უწოდებენ. ეს მრავლობითი უფრო მეტად ძველ ქართულში იყო გავრცელებული. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში მისი გავრცელების არე მცირეა. ამის შემდეგ გაეცნობა სახელის ამ მრავლობითის ფორმა --- ებიან მრავლობითთან დაპირისპირებით და გაირკვევა ყველა ის თავისებურება, რაც ამ მრავლობითის დამახასიათებელია.

თანხმოვანფუძიან სახელთა ბრუნებას უნდა დაუკავშირდეს მართლწერის საკითხები: ასეთებია:

1. ორი მ-ს წერა. მხოლოდითი რიცხვის მოთხრობით ბრუნვაში ორი მ მოუდის სახელებს, რომელთა ფუძე მანით ბოლოვდება: ერთი მ ფუძისეულია, მეორე ბრუნვის ნიშნისა (კალამ-მა, ქათამ-მა, ექიმ-მა და ა.შ.).
2. თუ სახელის ფუძე სანით ბოლოვდება, მიცემით ბრუნვაში ორი ს დაიწერება (თბილისს, შინდისს და ა.შ.).
3. მეორე მრავლობითის სახელობითსა და წოდებით ბრუნვაში ორი ნ იყრის ერთად თავს, თუ სახელის ფუძე ნარზე ბოლოვდება; ერთი ნ ფუძისეულია მეორე რიცხვის ნიშანი (აკვანნი, აკვანნო).
4. მეორე მრავლობითის მოთხრობითს, მიცემითსა და ნათესაობით ბრუნვაში ორი თ მოუდის ისეთ სახელებს, რომელთა ფუძე თანზე უმთავრდებათ: ელთი თ ფუძისეულია, მეორე რიცხვის ნიშანი (თითთა, ნივთთა).
5. მოქმედებით ბრუნვაში კითხვაზე რით? ვისით? იწერება ით (შვილით, თოხით).
6. ვითარებით ბრუნვაში კითხვაზე სად? ვისად? იწერება დ (კაცად, ზღვად...).
7. კუმშადი სახელები ნათესაობითს, მოქმედებითსა და ვითარებითში შეკუმშულად უნდა ვთქვათ და ვწეროთ (მწერლის, მწერლით, მწერლად, ნაბდის, ნაბდით, ნაბდად და ა.შ.). ყველა ამ მართლწერის საკითხზე სათანადო ახსნა - განმარტებასა და წესის დასწავლასთან ერთად ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული სხვადასხვა სახის ზეპირი თუ წერიტი სავარჯიშო.

უკვეცელ სახელთა ბრუნება

საზოგადო სახელთაგან უკვეცელია ქართულში ძირითადად **ო** და **უ**-ზე დამთავრებული სახელები. უკვეცელ სახელთა ბრუნება უნდა შეპირისპირდეს კვეცადთა ბრუნებას. პირველ რიგში ყურადღება გამახვილდება ფუძეზე. გაირკვევა, რომ ის ყველა ბრუნვაში უცვლელია. ამიტომაც ამ სახელებს ფუძეუკვეცელი ეწოდება. შემდეგ ბრუნებაზე დაკვირვებით გაირკვევა ის თავისებურებები, რაც ამ სახელებს ახასიათებს. ასეთებია:

1. ნათესაობითსა და მოქმედებითში ბრუნვის ნიშნის ხმოვანი **ი** (ის, ით) დაკარგულია, რის გამოც ნათესაობითსა და და მომეებითში ბრუნვის ნიშნად ამ სახელებს **ს** და **თ** მოუდით.
2. ამ ბრუნვაში უფრო მეტად მოქმედებითში ბრუნვის ნიშნის შემდეგ სახელს ზოგჯერ **ი** დაერთვის (რკოთი, კუთი).
3. ნათესაობითში ბრუნვის ნიშნისეული **ი**-ს დაკარგვის შედეგად მიცემითისა და ნათესაობითის ფორმები ერთმანეთს ემსგავსება (მიც.ოქროს, ნათ.ოქროს; მიც. ყრუს, ნათ. ყრუს და ა.შ.) ამ ფორმების მიცემითისა და ნათესაობითის გასარჩევად გამოიყენება ჩასმის ხერხი; მაგალითად: წყაროს ვხედავ, წყაროს წყალს ვსვამ. წყაროს ნაცვლა მდინარის ჩასმის შემდეგ გამოჩნდება, რომ პირველ შემთხვევაში მიცემითის ბრუნვაა, მეორე შემთხვევაში ნათესაობითის.

უკვეცელ სახელთაგან მრავლობითი მხოლოდ **ო** და **უ**-ზე დაბოლოებულ საზოგადო და ზოგიერთ ა-ნიან სახელებს (დედოფალა, ცისარტყელა დასხვა) მოეპოვებათ. **ო**-ხმოვანფუძიან სახელთაგან გამონაკლისია ღვინო. **ო**-ზე დამთავრებულ სახელებს შორის ეს სახელი ერთადერთია, რომელიც ბოლოკიდურ ხმოვანს მოიკვეცს, მგრამ მოიკვეცს მარტო მხოლობით რიცხვში: ღვინის(ა), ღვინით(ა), მრავლობითში კი არა: ღვინოები".

რა სახით უნდა ჩატარდეს შემაჯამებელი (განმაზოგადებელი) მუშაობა, მან უნდა მოიცვას არსებით სახელთა ფორმაცვლასთან დაკავშირებული ყველა საკვანძო საკითხი, როგორცაა: არსებითი სახელის რაობა და მასთან დაკავშირებით საგნის ცნება გრამატიკაში: არსებით სახელთა შინაარსობრივი ჯგუფები; ჯგუფები ფუძეთა მიხედვით და ცალკეული ჯგუფის არსებითი სახელის დამახასიათებელი ნიშნები, ბრუნება და ბრუნვა, ბრუნვის ნიშნები სხვადასხვა ფუძიან სახელებთან, რიცხვი, მრავლობითი რიცხვი

და მათი ნიშნები ქართულში,კუმშვისა და კვეცის მოვლენა სახელთა ბრუნებისას,გვრების ბრუნება,თავისებურებანი მრავლობითის წარმოებისას,მართლწერის საკითხები ბრუნებასთან დაკავშირებით და ა.შ. არსებით სახელთა ბრუნების სწვლების შედეგად ყველა ამ საკითხის შესახებ მოსწავლეს უნდა ჰქონდეს მტკიცე და შეგნებული ცოდნა-ჩვევა;უნდა შეეძლოს მათი პრაქტიკულად გამოყენება საკუთარს ზეპირსა თუ წერით მეტყველებაში.

შემაჯამებელი მუშაობის შემდეგ შეიძლება ასეთი სქემების მიწოდება. სქემაზე ბრუნვის ნიშნები განსხვავებული ფერით უნდა იყოს აღნიშნული,კუმშვისა და კვეცისას ხმოვანთა დაკარგვის ადგილებიც უნდა აღინიშნოს

სქემა, 2.1

ბრუნვები	თანხმ. ფუძიანი	ბრ.ნიშ.	კვეცადები	ბრ. ნიშ.	უკვეცელები	ბრ.ნიშ.
სახ.	კაცი	ი	ძმა, მებაღე		რკო	
მოთხ.	კაცმა	მა	ძმამ, მებაღემ	მ	რკომ	მ
მიც.	კაცს	ს	ძმას, მებაღეს	ს	რკოს	ს
ნათ.	კაცის	ის	ძმის, მებაღის	ის	რკოს	ს(ი)
მოქმ.	კაცით	ით	ძმით, მებაღით	ით	რკოთ(ი)	თ(ი)
ვით.	კაცად	ად	ძმად, მებაღედ	დ	რკოდ	დ
წოდ.	კაცო	ო	ძმაო, მებაღევ	ვ	რკოო	ო,ვ

სქემა.2.2

ბრუნვის ნიშნები სხვადასხავ ფუძიან სახელებში

თანხმოვანფუძიანი	ხმოვანფუძიანი	
	კვეცადები	უკვეცელები
სახ. -ი	0	0
მოთხ. -მა	-მ	-მ
მიც. -ს(ა)	-ს(ა)	-ს(ა)
ნათ. -ის(ა)	-ის(ა)	- ს(ი)
მოქმ. -თ (ა)	-თ(ა)	-თ(ი)
ვით. -ად (ა)	-დ(ა)	- დ
წოდ.-ო	-ო, ვ	- ო,-ვ

თანდებულიან სახელთა ბრუნება

უკავშირდება რა არსებითი სახელის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმას,თანდებული მიუთითებს მის სხვა სიტყვებთან სინტაქსურ ურთიერთობაზე; მაგალითად: სწავლობს სკოლაში,წაიქცა გზაზე და ა.შ. ამდენად,მისი ადგილი ძრითადად სინტაქსშია მაგრამ,ის მორფოლოგიაშიც ისწავლება, კერძოდ თანდებულიანი ბრუნვები არსებით სახელთა სწავლებასთან დაკავშირებითაც უნდა იქნას განხილული.თანდებულიანი ბრუნვების ადგილის შესახებ მეთოდოლოგიურ ლიტერატურაში ერთგვარი აზრი არ არსებობს.

თანდებულიანი ბრუნვების შესწავლით ღრმავდება და ფართოვდება მოსწავლეთა ცოდნა საერთოდ სახელთა ბრუნების შესახებ,ვითარდება მათი მეტყველება. თანდებულიან ბრუნვათა შესწავლასთან დაკავშირებულია რიგი მართლწერის საკითხები,რომელთა ცოდნას არსებითი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა ზეპირი და განსაკუთრებით, წერითი მეტყველების მოწესრიგებითვის.„თანდებულიანი ბრუნვები სახელთა ბრუნების განუყოფელ ნაწილს შეადგენს“, იგი არსებით სახელთა ბრუნების სწავლებასთან დაკავშირებით უნდა გავაცნოთ.აუცილებელია მოსწავლემ იცოდეს, „რა თანდებულები რა ბრუნვებს მოითხოვენ და სახელთან შეერთებისას რა ცვლილებას იწვევენ“.

თანდებულებიან ბრუნვებში განიხილება მხოლოდ ერთმარცვლიანი თანდებულები, რომლებიც სახელთან შერწყმით იწერება; ასეთებია: ვით,თან,ზე,ში,გან,ურთ,მდის (მდე).ესა თუ ის თანდებული ჩვეულებრივ ამა თუ იმ განსაზღვრულ ბრუნვას მოითხოვს; მაგალითად:

სახელობითს ვით

მიცემითს ვით,თან ზე,ში

ნათესაობითს კენ,თვის,გან..

მოქმედებითს ურთ , გან

ვითარებითს მდე (მდის)

ქართულში სასკოლო გრამატიკების მიხედვით უძველესი დროიდან დღემდე თანდებულიან ბრუნვათა ამ რიგის მიხედვითაა განხილული, ბრუნვათა რიგცაა წარმოდგენილი ამათუ იმ სახელმძღვანელოში. ასეა ეს ამჟამად მოქმედ სასკოლო გრამატიკაშიც.ამ სახელმძღვანელოში თანდებულიან ბრუნვების ასეთი რიგია: თანდებულიანი მიცემითი, თანდებულიანი ნათესაობითი, თანდებულიანი მოქმედებითი და თანდებულიანი ვითარებითი. სახელობითის ვით თანდებული განხილულია მიცემითის ვით თანდებულთან დაკავშირებით.

არსებით სახელთა ბრუნების შესწავლისა და ბრუნებასთან დაკავშირებულ მოვლენათა გათვალისწინების შემდეგ თანდებულიანი სახელების ბრუნვათა რიგის მიხედვით სწვლება განსაკუთრებულ სირთულე არ შეიძლება წარმოადგენდეს; მით უფრო, რომ თანდებულისა და თანდებულიანი ბრუნვების შესახებ ერთგვარი პირველადი წარმოდგენა მოსწავლეებს დაწყებით სკოლაშიც ეძლევა, ბრუნვათა მიხედვით თანდებულთა სწავლებისას დაცული უნდა იქნას ასეთი თანმიმდევრობა:

1. თანდებულიანი სახელობითი, სახელობითს დაერთვის მხოლოდ ვით თანდებული, რომელიც ბრუნვის ფორმაში არავითარ ცვლილებას არ იწვევს (კაცი-ვით).
2. თანდებულიანი მიცემითი, მიცემითის ბრუნვის თანდებულები ასეთი თანამიმდევრობით უნდა გაეცნოს: ვით, თან, ზე, ში. ვით თანდებული ბრუნვის ფორმაში ცვლილებას არ იწვევს, მოითხოვს მხოლოდ გავრცობილ ფორმას. თან - ჯერ ხმოვანფუძიანებთან, შემდეგ თანხმოვანფუძიანებთან. თან თანდებულის

დართვისას ბრუნვის ნიშნის დაკარგვის გაცნობის შემდეგ ადვილია ზე და ში თანდებულების გაცნობა. ში, ზე თანდებულთა დართვისას ბრუნვის ნიშანი ყოველთვის დაკარგულია. დაკარგვას იწვევს ფონეტიკური მიზეზები (ზ-სა და შ-ს გავლენა ბრუნვის ნიშანზე თანხმოვანთა დაჯგუფება --სახლსში). მიცემითი ბრუნვის თან, ზე, ში თანდებულთა სწავლებისას აუცილებელია მოკლე ისტორიული ექსკურსით მოსწავლეებისთვის ნათელი გავხადოთ, რომ ეს თანდებულები ძველად ორმარცვლიანი იყო (თანა, ზედა, შინა). ეს ძველი ფორმები შენახულია ზოგიერთ ხალხურ ლექსსა და გამონათქვამში, მაგალითად: „შევიხედე სერზედაო, ბატონი ზის ცხენზედაო, წინ მეძებრები მოუდის დაგეშლი ჩემზედაო" და ა. შ. ზოგჯერ ზედა თანდებული ასეთი ფორმითაც გვხვდება- ზედ; მაგალითად: სერზედ მიდის სამი მგელი".

თანამედროვე სალიტერატურო ქართულში ეს თანდებულები ასეთი ფრომით იხმარება: თან, ზე, ში.

3. თანდებულები ნათესაობითი. მართალია ნათესაობითი ბრუნვის თანდებულები (კენ, თვის, გან) ბრუნვის ფორმაში ცვლილებას არ იწვევენ, მაგრამ, თვით თანდებულთა დანიშნულების უკეთ გასაგებად საჭიროა ამ თანდებულთა ასეთი რიგით გაცნობა: კენ, თვის, გან. ეს თანდებულები მიეცემა როგორც ბრუნვის გაუვრცობელ, ისე გავრცობილ ფორმებთან (ტყისკენ ტყისაკენ).

4. თანდებულიანი მოქმედებითი. მოქმედებითი ბრუნვის თანდებულებიდან პირველ რიგში ურთ თანდებული გაცნობა.

ამ თანდებულის სწავლებისას მოსწავლეს უნდა განემარტოს, რომ ეს ფორმა არქაულია და ამჟამად თითქმის არ გამოიყენება. თანამედროვე ქართულში ურთ თანდებულიანი ფორმების ნაცვლად გამოიყენება -იანსუფიქსიანი ფორმები (დედიანად, შვილიანად).

უფრო რთულია გან თანდებული მოქმედებითთან. აქ ფონეტიკური ფაქტორების ზეგავლენით ადგილი აქვს ბრუნვის ნიშნის სახეცვლილებას.

განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს გან თანდებულიანი ნათესაობითისა და მოქმედებითის ფორმების ურთიერთისგან გარჩევას. ვარჯიშით და სათანადო ნიმუშების

ანალიზით მოსწავლეთათვის ნათელი უნდა გავხადოთ გან თანდებულდართული ნათესაობითისა და მოქმედებითის გამოყენების ადგილი: რომ მოქმედების ჩამდენობის ან მასალის აღნიშვნის შემთხვევაში, კითხვებზე ვისგან?რისგან? ნათესაობითი ბრუნვაა საჭირო, ხოლო მოქმედების დასაწყისი გამოსავლელი პუნქტის აღნიშვნისას კითხვებზე საიდან ?მოქმედებითი.ამიტომაც უნდა ვთქვათ და ვწეროთ ძმისგან (და არა ძმიდან) წერილი მივიღე. სკოლიდან (და არა სკოლისგან) წავიდა და სხვა.

5. თანდებულიანი ვითარებითი. ვითარებითი ბრუნვის თანდებული მდე (მდის) პირველ რიგში მიეცემა თანხმომავანფუძიან სახელებთან. სახელის და თანდებულის გამოყოფით უნდა გაირკვეს, რომ მდე (მდის) თანდებული დართულია ისეთ ბრუნვის ფორმაზე, რომლის ბრუნვის ნიშანი ა ასო ბგერას შეიცავს. ბრუნვის ნიშანთა გათვალისწინებით მოსწავლეთათვის ნათელი გახდება, რომ ასეთია ვითარებითი ბრუნვის ად ნიშანი. მაშასადამე, მდე (მდის) თანდებული დაერთვის ვითარებით ბრუნვას.ამ თანდებულის დაერთვისას ბრუნვის ნიშნის თანხმომავანითი ნაწილი (დ) იკარგება.ამიტომაც გვაქვს ასეთი ფორმები: სკოლ-ა-მდე, ქალაქ-ა-მდე და სხვა. ამის შემდეგ მიეცემა მდე (მდის) თანდებული ხმომავანფუძიან სახელებთან.

ამა თუ იმ თანდებულის სწავლებისას აუცილებელია გაირკვეს თვით თანდებულთა მნიშვნელობა ამა თუ იმ ბრუნვის ფორმაზე დაერთვისას.ვით თანდებული შედარებას, მსგავსებას აღნიშნავს (გლახივით იქცევა, ვირივით ყვირის). ში, ზე , თან თანდებულები მდებარეობაზე მიუთითებენ: ეზოში,სკამზე,ხესთან.

კენ - მიმართულებას გვიჩვენებს (ტყისკენ),

თვის - დანიშნულებას (დედისთვის),

მდის (მდე)- მიღწევა პუნქტს სივრცესა თუ დროში (ქალაქამდე, კვირამდე),

ურთ- თანაობას , თანყოფნას (ამხანაგითურთ),

გან - ჩამდენობას (ძმისგან).

გან- მასალას (ხისგან),

გან (იდან) - დასაწყისს,გამოსასვლელ პუნქტს სივრცესა და დროში (სოფლიდან,ორშაბათიდან).

თანდებულიან ბრუნვათა შესწავლისას ფართოდ უნდა მოვიშველიოთ ლიტერატურული ტექსტი. ქართულში თანდებულიანი ბრუნვები ფართოდაა გავრცელებული. მათ ყოველგვარ ტექსტში ვხვდებით. მოსწავლეს ეძლევა ტექსტი, რათა გამოყოს თანდებულიანი ბრუნვები, გაარკვიოს თანდებულთა ფუნქციები.

თანდებულიან სახელთა სწავლებასთან დაკავშირებით მართლწერის საკითხებიც უნდა გაირკვეს: ასეთებია:

1. ორი შ-ს, ორი ზ-სა და ორი თ-ს წერა ისეთ სიტყვებში, რომელთა ფუძე ამ ასოებზე მთავრდება და რომელთაც ამ ასო-ბგერებით დაწყებული თანდებულები დაერთვის; მაგალითად: ქალაქში, კომპში, კოვზზე, საათთან.

ზედსართავი სახელი

ზედსართავი სახელი უძველესი მეტყველების ნაწილთაგანია. საშუალო საუკუნეებამდე იგი „სახელებთან შედიოდა, როგორც სახელთა გარკვეული სახე“, ცალკე მეტყველების ნაწილად იგი მხოლოდ საშუალო საუკუნეებში გამოიყო.

ზედსართავი სახელის სწავლების მნიშვნელობა

ზედსართავი სახელი ჰქვია ისეთ სიტყვას, რომელიც არსებითი სახელის რაიმე ნიშანს ასახელებს, სემანტიკურად ზედსართავი სახელი თვისებას აღნიშნავს. იგი მჭიდრო კავშირშია არსებით სახელთან. ზედსართავი სახელი ცალკე დამოუკიდებლად იშვიათად გვხვდება.

ზედსართავი ქართულში საკმაოდ დიდი და მრავალფეროვანი ჯგუფია სახელებისა. ზედსართავთა ჯგუფს განეკუთნება არა მარტო ძირეული ზედსართავი სახელები, არამედ დიდი უმეტეობა წარმოქმნილი სახელების (ქუდი, ქუდიანი, მექუდე, უქუდო და სხვა) ზედსართავი სახელის შეგნებული ცოდნა, მისი მართებული გამოყენება მეტყველებას ხდის მხატვრულს, გამომეტყველებითს. ზედსართავი სახელის შესწავლის საფუძველზე მოსწავლე ეუფლება განსაზღვრებებისა და ეპითეტების მართებულად გამოყენებას.

ზედსართავი სახელის რაობა და ჯგუფები

ზედსართავი სახელის შესახებ ერთგვარ წარმოდგენას მოსწავლე ჯერ კიდევ დაწყებით სკოლაში იძენს, თუმცა ეს ცოდნა მეტად ელემენტარულია: იგი მხოლოდ ზედსართავის რაობისა და კითხვების პირველადი გაცნობით ამოიწურება. განსაკუთრებით უნდა გამახვილდეს ყურადღება ზედსართავ სახელთა კითხვებზე: როგორი? რომელი? როდინდელი? კითხვები აადვილებენ ზედსართავ სახელთა ამოცნობას, მათი მნიშვნელობის, შინაარსის გაგებას. ტექსტის ანალიზისას პირველ რიგში გამოიყოფა მოსწავლეთათვის ნაცნობი არსებითი სახელები და გაიხაზება ის სიტყვები, რომლებიც არსებით სახელებს ზედ დაერთიან და ახასიათებენ მას რაიმე ნიშნის, რაიმე თვისების მიხედვით. კითხვებითა და შინაარსზე დაკვირვებით მოსწავლეთათვის გასაგები გახდება, რომ ეს სიტყვები, დაერთვიან რა არსებით სახელს, მიუთითებენ იმ ნიშანზე, თვისებაზე, რომელიც ამ სახელებით აღნიშნულ საგნებს ახასიათებთ. ეძლევა განსაღვრა: საგნის თვისების ან ნიშნის აღმნიშვნელ სიტყვას ზედსართავი სახელი ეწოდება. აიხსენება ტერმინი ზედსართავი და გაირკვევა მისი კითხვები: რომელი? როგორი? სადაური? როდინდელი?.

ზედსართავთა შინაარსეული ჯგუფების სწავლებისას საჭიროა ვაჩვენოთ, რომ ვითარებითი ზედსართავი სახელი პირველადი, ძირეული ზედსართავი სახელია, ხოლო მიმართებითი-მეორეული, ხვა სახელებისგან ნაწარმოები; აგრეთვე ისიც, რომ ვითარებითი (თვისებით) ზედსართავ სახელში ესა თუ ის თვისება თუ ნიშანი შეიძლება წარმოდგენილი იქნეს მეტი ან ნაკლები რაოდენობით; მაგალითად: ერთი საგანი შეიძლება დიდი იყოს, მეორე კი უფრო დიდი- უდიდესი, მესამე კი არც თუ სავსებით დიდი - მოდიდო; ან ერთი საგანი ვთქვათ ერთი ხარისხის ქაღალდი შეიძლება იყოს თეთრი, მეორე ხარისხის კიდევ უფრო თეთრი - უთეთრესი, ან ნაკლებ თეთრი - მოთეთრო და ა.შ. ამათგან თეთრი ძირეული ფორმაა, მოთეთრო და უთეთრესი - წარმოქმნილი. ძირეული ფორმაა, მოთეთრო და უთეთრესი - წარმოქმნილი. ძირეული ფორმა დადებითი ხარისხისაა; ფორმას, რომელშიც თვისება, ნიშანი მეტი რაოდენობითაა წარმოდგენილი, უფროობითი (შედარებითი) ხარისხი ჰქვია. ხოლო ფორმას, რომელშიც თვისება, ნიშანი ნაკლები რაოდენობითაა წარმოდგენილი - ოდნაობითი.

ამგვარად, ვითარებითი (თვისებით) ზედსართავ სახელებს აქვთ ხარისხი, მიმართებითი კი ხარისხს ვერ აწარმოებს.

ხარისხის წარმოების გაცნობა უნდა მოხდეს ძირეულ და წარმოქმნილ ფორმათა შედარება-შეპირისპირებითა და საერთო განმასხვავებელ ნაწილთა გამოყოფით.

შავ-ი

მო-შავ-ო

უ-შავ-ესი

მოსწავლეთათვის გასაგები გახდება, რომ უფროობითი (შედარებითი) და ოდნაობითი ხარისხები წარმოიქმნებიან დადებითი ხარისხის ფორმის ფუძისაგან აფიქსების დართვით: უფროობით ხარისხს აწარმოებს უ-ეს, ხოლო ოდნაობითს მო-ო თავსართ-ბოლოსართები.

ზედსართავ სახელთა შინაარსობრივი ჯგუფების შესწავლასთან დაკავშირებით უნდა გაირკვეს ტერმინი ვითარებითი და მიმართებითი.

ტერმინი ვითარებითი მიღებულია სიტყვისგან "ვითარ" რაც ძველ ქართულში აღნიშნავდა,, როგორს". ვითარებითი ზედსართავი სახელის ძირითადი კითხვაა "როგორი"? აქედანვეა მისი სახელწოდებაც.

მიმართებითი ზედსართავი სახელი ამა თუ იმ ნიშანს იმ სახელთან მიმართებით წარმოგვიდგენს, რომლისგანაც წარმოიქმნება; მაგალითად:საქუდე,ქუდიანი,მექუდე და ა.შ. ყველა ამ სიტყვაში ეს ნიშანი წარმოდგენილია არსებით სახელ "ქუდდთან" მიმართებით; ცხენიანი,უცხენო,ცხენოსანი და ა.შ. არსებით სახელ ცხენთან მიმართებით და სხვა. აქედანვეა მისი სახელწოდებაც "მიმართებითი".

ზედსართავი სახელების შინაარსობრივ ჯგუფებში საფუძვლიანად გასარკვევად საჭიროა სხვადასხვა სახის ვარჯიშების ჩატარება:

1. სათანადოდ შერჩეული ტექსტიდან ვითარებითი და მიმართებითი ზედსართავი სახელების გამოყოფა გახაზვით ან სვეტებში გამოწრით.
2. ვითარებითი ზედსართავი სახელების უფროობით ან ოდნაობით ხარისხსში გადაყვანა და, პირიქით, ოდნაობითი და უფროობითი ხარისხის ფორმების გადაკეთება დადებითად(ძირეულად) .

3. მოცემული არსებითი სახელებისგან მიმართებითი ზედსართავი სახელების წარმოება.
4. მოცემული არსებითი სახელებისთვის დამახასიათებელი ზედსართავი სახელების შერჩევა და პირიქით ზედსართავი სახელების მიხედვით ამოცნობა არსებით სახელთა.

ლექსიკური მუშაობა ზედსართავის სწავლებისას

ზედსართავთა სწავლებას ფართოდ უნდა დაუკავშირდეს ლექსიკური მუშაობა. ადვილიდან მწიკისაკენ გადასვლის მოთხოვნილებათა დაცვით პირველ რიგში ლექსიკური მუშაობა უნდა ჩატარდეს კონკრეტულ არსებით სახელთა დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა შერჩევაზე (დაფა შავი, შაქარი ტკბილი, თეთრი ფრინველი და ა.შ.). ამისათვის აუცილებელია წინასწარ გარკვეული იქნეს, თუ რა და რა ზედსართავ სახელებს იცნობენ მოსწავლეები და რამდენად ახერხებენ მათ გამოყენებას მეტყველებაში. ახალ-ახალი ლექსიკური მნიშვნელობის ზედსართავები მოსწავლეებს უნდა მივაწოდოთ თვალსაჩინოდ - მეცნიერულ-პოპულარული სტატიების კითხვა-დასწავლითა თუ კლასგარეშე საკითხავი წიგნებით და ისე, რომ ეს ახალი სიტყვები მათ აქტიურ ლექსიკონში შევიდეს.

ზედსართავ სახელთა შესწავლასთან დაკავშირებით ლექსიკური მუშაობისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს მხატვრული შემოქმედების ნიმუშებს. განსაკუთრებით მდიდარ მასალას იძლევა ლექსები, რომელთა შეგნებულად გაზეპირების საფუძველზე მოსწავლეები სწავლობენ გამოყენებას მეტყველებაში.~

ზედსართავ სახელთა ბრუნება

ზედსართავი სახელი, მსგავსად არსებითისა, არის ხმოვანფუძიანი და თანხმოვანფუძიანი. თანხმოვანფუძიანებიდან გამოიყოფა კუმშვადი და უკუმშველი, ხოლო ხმოვანფუძიანებიდან გამოიყოფა კვეცადი და უკვეცელი.

წინადადებაში ზედსართავი სახელი ჩვეულებრივ განსაზღვრებაა; მაგალითად:

„ცელქი სიო არხევდა ფოთლებს“

ზედსართავი სახელი **ცელქი** ახლავს სახელს და ახასიათებს მას. იგი განსაზღვრებაა.

ზედსართავი სახელი ისევე იბრუნვის, როგორც არსებითი სახელი. ზედსართავ სახელთა ბრუნების თანმიმდევრობა ასეთია:

1. თანხმოვანზე დამთავრებული ზედსართავი სახელი დამოუკიდებლივ და არსებითთან ერთად.
2. ხმოვანზე დამთავრებული ზედსართავი ცალკე და არსებითთან და
3. ზედსართავი არსებითის შემდეგ.

ზედსართავთა ბრუნების სწავლებისას ზედსართავი სახელი უნდა შევაპირისპიროთ არსებითთან. ორივე სახელი ჩამოიწერება ცალ-ცალკე, დამოუკიდებლივ.

სახელობითი	ლამაზ-ი	ქალ-ი
მოთხრობითი	ლამაზ-მა	ქალ-მა
მიცემითი	ლამაზ-ს	ქალ-ს
ნათესაობითი	ლამაზ-ის	ქალ-ის
მოქმედებითი	ლამაზ-ით	ქალ-ით
ვითარებითი	ლამაზ-ად	ქალ-ად
წოდებითი	ლამაზ-ო	ქალ-ო

ორივე სახელის ბრუნებაზე დაკვირვებით მოსწავლეთათვის გასაგები გახდება, რომ ზედსართავი ცალკე ისევე იბრუნვის, როგორც არსებითი. ზედსართავი სახელი მხოლოდობითშიც და მრავლობითშიც ისევე იბრუნვის, როგორც არსებითი სახელი.

არსებითის და ზედსართავი სახელის ერთად ბრუნებისას გამოჩნდება შემდეგი თავისებურება: 1. სამ ბრუნვაში (სახელობითში, მოთხრობისთსა და წოდებითში) სრული შეთანხმებაა; 2. ორ ბრუნვაში (ნათესაობითსა და მოქმედებითში) ნაწილობრი შეთანხმებაა. ბრუნვის ნიშნებიდან **ის,ით** დაკარგულია თანხმოვანი და დარჩენილია მხოლოდ ხმოვანი **ი**; 3. ორ ბრუნვაში (მიცემითსა და ვითარებითში) ზედსართავი ფუძის სახით ეთანხმება არსებითს (უნიშნო შეთანხმება).

სახელობითი	ლამაზ-ი	ქალ-ი
მოთხრობითი	ლამაზ-მა	ქალ-მა
მიცემითი	ლამაზ-	ქალ-ს
ნათესაობითი	ლამაზ-ი	ქალ-ის
მოქმედებითი	ლამაზ-ი	ქალ-ით
ვითარებითი	ლამაზ-	ქალ-ად

წოდებითი ლამაზ-ო ქალ-ო

თანხმოვანფუძიანი ზედსართავის არსებითთან ბრუნებისას საგანგებო ყუადღება უნდა მიექცეს მართლწერის საკითხებს: 1. მიცემითსა და ვითრებით ბრუნებში უნდა ვთქვათ და ვწეროთ: ლამაზ ქალს, ლამაზ ქალად. 2. ნათესაობითსა და მოქმედებით ბრუნებში ითქმის და იწერება: ლამაზი ქალის, ლამაზი ქალით. მართლწერის ამ საკითხებზე ყურადღების გამახვილება განსაკუთრებით იმიტომ არის საჭირო, რომ XIX საუკუნის ქართველ მწერალთა ნაწერებში მიცემითსა და ნათესაობითში გვხვდება ასეთი ფორმებიც: ლამაზს ქალს, ლამაზის ქალის. მოსწავლეებს მტკიცედ უნდა შევათვისებინოთ, რომ ასეთი ფორმების ხმარება უმართებულოა. ასევე იბრუნვის ხმოვანზე დამთავრებული ზედსართავი სახელები. ხმოვანზე დამთავრებულ სახელებში ორი ჯგუფი გამოყოფა: კვეცადი და თუკვეცელი. არსებითთან ერთად ხმოვანზე დამთავრებული ზედსაღტავები, განურჩევლად იმისა კვეცადია თუ უკვეცელი, უბრუნველია. 2. არსებითთან ერთად ხმოვანზე დამთავრებული ზედსართავები უბრუნველია, მაგრამ დგას იმავე ბრუნვში, რომელშიც არსებითი. 3. მრავლობით რიცხვში ხმოვანფუძიანი ზედსართავი არსებითთან ერთად უცვლელია რიცხვის მიხედვით.

ნათესაობით ბრუნვაში დასმული არსებითი სახელი ზედსართავის ფუნქციით (მსაზღვრელად)

ნათესაობითში დასმული არსებითი სახელი ხშირად ზედსართავის როლს ასრულებს მეტყველებაში. ნათესაობით ბრუნვაში დასმული სახელი მეორე არსებითს განსაზღვრავს კუთნილების ან მასალის მხრივ. ნინოს რვეული (კუთნილება), რკინის კოვზი (მასალა). ზედსართავის სწავლება უნდა დამთავრდეს განმაზოგადებელი მუშაობით. მთავარია მოსწავლეს შეეძლოს მისი გამოყენება აზრის ზუსტად და სახეობრივად გადმოსაცემად ვარჯიშების დანიშნულებათა ზედსართავთა გამოყენების დაუფლება და იმის გარკვევა, თუ რამდენად ახერხებენ მოსწავლეები ამა თუ იმ საგნისთვის მისი დამახასიათებელი ეპითეტების შერჩევას და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას.

რიცხვითი სახელი

რიცხვითი სახელი უძველესი მეტყველების ნაწილთაგანია, რიცხვითი სახელი ჰქვია ისეთ სიტყვას, რომელიც აღნიშნავს საგნის რაოდენობას, რიგს ან ნაწილს მთელთან მიმართებით. ცოდნის განსამტკიცებლად საჭიროა საჭიროა ვარჯიში, რიცხვითი სახელის შემცველი ტექსტის ანალიზი, კითხვების საშუალებით რიცხვითი სახელის ამოცნობა.

რიცხვითი სახელის რაობა და მისი ჯგუფები შესწავლილად ჩაითვლება თუ მოსწავლე შეძლებს დაახასიათებას, განასხვავებს მას სხვა მეტყველების ნაწილებისგან.

რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელები

რაოდენობითი რიცხვითი სახელების შედგენილობისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ათიდან ოცამდე რიცხვების სახელწოდებაზე და ცალკეული რიცხვითი სახელთა ანალიზის საფუძველზე გაიიარკვეს, როგორაა ისინი მიღებული. თერთმეტიდან ოცამდე რიცხვით სახელთა შემადგენლობის შესწავლისას ყურადღება უნდა მიექცეს ფონეტიკურ მოვლენებს:

- 1) **ბგერათდაკარგვა:** ა) იკარგება ა თერთმეტში, თორმეტში, ცამეტში, თოთხმეტში და ა.შ. ბ) იკარგება თანხმოვანი მ სიტყვაში ცამეტი. გ) იკარგება ათ სიტყვა ცხრამეტში.
- 2) **ბგერათგადასმა:** სიტყვაში თვრამეტი ადგილი აქვს ვ-ს გადასმას.
- 3) **ბგერათშერწყმა:** ცამეტში ც=თ +ს და თ+შ=ჩ ჩვიდმეტში ადგილი აქვს ბგერების შერწყმას. მარტივი და რთული რაოდენობითი რიცხვითი სახელები: ორი, ათი, ოცი მარტივი რიცხვითი სახელებია, რადგან ერთ ფუძეს შეიცავენ, ხოლო თორმეტი, თვრამეტი -რთული, რადგან ერთ ფუძეზე მეტს შეიცავენ. რაოდენობითი რიცხვითი სახელების ფუძეთა შედგენილობისგარკვევის შემდეგ ეცნობა რიგობითი რიცხვითი სახელების წარმოება.

მაწარმოებლებით (ოთხი- მეოთხე), ხოლო წილობითი რიგობითის ვითარებითი ბრუნვით (მეოთხე -მეოთხედი).

რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელების წარმოების გაცნობისას უნდა აღინიშნოს, რომ რიგობითი სახელებისგან განკერძოებით დგას პირველი და წილობითთგან-ნახევარი, რომლებიც არ ემორჩილებიან რიგობითს და წილობითთა წესს.

რიცხვით სახელთა მართლწერა

რიგობითი რიცხვითი სახელების სწორად თქმა და სწორად წერა ერთ -ერთი მნიშვნელოვანი საკითხია.შეცდომებს უშვებენ ხშირად , როდესაც რიგობით რიცხვით სახელს გმოსახავენ რიცხვებით.მოსწავლეებისთვის გასაგები უნდა იყოს, რომ არაბული ციფრებით წარმოებისას რიგობით რიცხვით სახელს მხოლოდ ერთი მაწარმოებელი ექნება. თუ რიგობითი რიცხვითი სახელი მარტივი რაოდენობითი რიცხვითი სახელისგან იწარმოება, მაშინ მას თავში დაერთვის მე- (მე-3,მე-7,მე-100).ასევე მე დაერთვის თავში სრულ ასეულების,სრული ათასეულების შემცველს და თერთმეტიდან - ოცამდე რიცხვით სახელებსაც (მე-13,მე-18), ხოლო თუ რიგობითი რიცხვითი სახელი იწარმოება სხვა რთული რაოდენობითი რიცხვითი სახელისგან, მაშინ მას ბოლოში დაერთვის ე: 22-ე, 140-ე,206-ე და ა.შ.

თუ რიგობით რიცხვით სახელს რომაული ციფრებით გამოვხატავთ,მაშინ ის არავითარ მაწარმოებლებს საჭიროებს.

რაოდენობითი რიცხვითი სახელები იწერება ისე როგორც მოისმის, აღსანიშნავია მხოლოდ ის, რომ რთული რიცხვითი სახელები ასამდე ერთად იწერება. ოცდასამი, ორმოცდახუთი და ა.შ.ასეულები და ათასეულები ცალ-ცალკე.მაგ.: ორი ათას სამი, ხუთას ორმოცდახუთი და ა.შ.

ჩვეულებრივ წილობითი რიცხვითი სახელები უკავშირდებიან რაოდენობივ რიცვით სახელებსა თუ ზომა-წონის აღმნიშვნელ არსებით სახელებს კავშირით „და“. ითქმის და იწერება: ხუთი მთელი და სამი მეორედი,კილო და ხუთი მერვედი დ ა.შ. გამონაკლისია „ნახევარი“.ითქმის და იწერება: ერთ-ნახევარი, სამ-ნახევარიდა ა.შ.

რიცხვითი სახელის ბრუნება

რიცხვით სახელთა ბრუნების სწავლებისას ყურადღება მხოლოდ რიცხვით სახელთა თავისებურებების შესწავლაზე უნდა გამახვილდეს.ეს თავისებურებებია: 1. რიცხვით სახელებს არ აქვთ წოდებითი ბრუნვა.2.რაოდენობრივ რიცხვით სახელებს არ გააჩნიათ ებიანი მრავლობითი. 3. რიცხვითი სახელი არც თვითონ იღებს ებიან მრავლობითს და არც რიცხვით სახელთან დაკავშირებული არსებითი სახელი დაისმის ამ მრავლობითში. მაგალითად: არასწორია „შვიდი ბიჭები“,არ დაისმის მრავლობითში

სახელი თუ მას თან ახლავს განსაზღვრებად გაურკვეველი რიცხვითი სახელი.
მაგალითად: „ბევრი შვილები“ სწორია „ბევრი შვილი“.

არსებითმა სახელმა რიცხვთან ერთად შეიძლება მხოლოდ ნ/თანიანი მრავლობითი მიიღოს.

ნაცვალსახელი

ნაცვალსახელის სწავლებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ნაცვალსახელი ერთი ურთულესი მეტყველებათაგანია. მისი სირთულე და სიძნელე გამომდინარეობს რგორც მისი სემანტიკური, ისე მორფოლოგიური თავისებურებებიდან.

ნაცვალსახელის რაობის გასაცნობად სანიმუშო-საილუსტრაციო ტექსტი ისეთი უნდა იყოს, რომელშიც ნაცვალსახელის ძირითადი დამახასიათებელი კარგად იქნება გამოვლენილი.

ნაცვალსახელის განსაზღვრა უნდა მიეცეს ნაწილ-ნაწილ, ცალკეული წინადადების ანალიზის საფუძველზე, ხოლო მთლიანად ფორმულირებული იქნება ასე: „სიტყვას, რომელიც სახელების ნაცვლად იხმარება, ნაცვალსახელი ეწოდება“.

ნაცვალსახელის ჯგუფები შინაარსის მიხედვით

ნაცვალსახელი სემანტიკურად, შინაარსობრივად რამდენიმე ჯგუფისგან შედგება. ნაცვალსახელის ჯგუფებია: პირის, ჩვენებითი, კუთნილებითი, კითხვითი, მიმართებითი, განუსაზღვრელობითი, უარყოფითი და განსაზღვრებითი.

ნაცვალსახელთა შინაარსობრივი ჯგუფების შესწავლასთან დაკავშირებით მოსწავლეთათვის გასაგები უნდა გავხადოთ, თუ რომელი ნაცვალსახელი რომელი მეტყველების ნაცვლად იხმარება: არსებითის ნაცვლად თითქმის ყველა ნაცვალსახელი გამოიყენება, ძირითადად კი პირის, მიმართებითი და განსაზღვრებითი. ზედსართავისა და რიცხვითის ნაცვლად კი უმთავრესად კუთნილებითი, ჩვენებითი და განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები.

ნაცვალსახელთა ბრუნება

პირის ნაცვალსახელთა ბრუნება

პირის ნაცვალსახელები საერთოდ დის თავისებურებებს ამჟღავნებენ ბრუნებისას. პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები მე,შენ უბრუნველია, მესამე პირის ნაცვალსახელები ის, იგი მთელ რიგ თავისებურებებს შეიცავენ და ბრუნებისას მიჰყვებიან ჩვენებით ნაცვალსახელებს.

ამიტომაც მესამე პირის ნაცვალსახელთა ბრუნების შესწავლა გადატანილია ჩვენებით ნაცვალსახელთან.

პირის ნაცვალსახელთაგან განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ნაცვალსახელს თავი. თავი თავისი ძირითადი დანიშნულებით და მნიშვნელობით არსებითი სახელია. მაგალითად: „თავი გაიტეხა“, „თავი გაიქნია“ და სხვა.

პირველი პირის ნაცვალსახელი მე უბრუნველია, ის მხოლოს ოთხ ბრუნვაში დაისმის. სამ ბრუნვაში (სახ. მოთხ. მიც.) მოცემულია მე ფორმით, ნათ.ბრ. კი ჩემ-თვის, გან, ან მიერ თანდებულით.სხვა ბრუნვები მას არ გააჩნია. ასევე უბრუნველია ჩვენ, შენ და თქვენ ნაცვალსახელებიც.

ჩვენებითი ნაცვალსახელთა ბრუნვა

მთელი ყურადღება გადატანილი უნდა იყოს ჩვენებით ნაცვალსახელთა სწავლებისას **ეს, ეგ, ის, იგი** ჩვენებითი ნაცვალსახელი სწავლებაზე. ამ ნაცვალსახელებს ახასიათებთ გარკვეული თავისებურება:

1. ხასიათდებიან ორფუძანობით:ერთი ფუძე სახელობითისთის აქვთ გამოყენებული, მეორე -დანარჩენი ბრუნვებისთვის (ამა, მაგა, იმა, მა).
2. ამ ნაცვალსახელთაგან სამს (ეს, ეგ, ის) მხოლოდითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში ფუძე მოკვეცილი აქვთ.
3. ამ ნაცვალსახელებს არ აქვთ წოდებითი ბრუნვის ფორმა.
4. არც ერთ ნაცვალსახელს არ აქვთ სახელობით ბრუნვაში სახელობითის ნიშანი **ი**. **იგი** ნაცვალსახელში ბოლოკიდური **ი** ფუძისეულია და არა ბრუნვის ნიშანი.
5. მოთხრობით ბრუნვაში გავეცს -**ნ** (**ამან,იმან,მან**).
6. ამ ნაცვალსახელთა მეორე ფუძეები ხმოვანფუძიანი,კვეცადი ფუძეებია (ამან, მაგან, მან).
7. არსებით სახელთან ერთად ამ ნაცვალსახელთა მეორე ფუძე იკვეცს არა მხოლოდ ბრუნვის ნიშანს, არამედ ბოლოკიდურ ფუძისეულ ხმოვანსაც (ამ, მაგ,იმ).

ამ თავისებურებათა გამოა,რომ ჩვენებითი ნაცვალსახელები ურთლესია სწავლების თვალსაზრისით.

კუთნილებითი ნაცვალსახელის ბრუნება

კუთნილებითი ნაცვალსახელები ისევე იბრუნიან, როგორც თანხმომოვანფუძიანი ზედსართავი სახელები. კუთნილებითი ნაცვალსახელების სწავლებისას ყურადღება უნდა მიექცეს შემდეგ საკითხებს:

1. კუთნილებითი სახელები იწარმოება პირთა და ჩვენებითი ნაცვალსახელთა ნათესაობითი ბრუნვისგან. მაგ.: ეს-ამის(ნათ)- ამისი.
2. კუთნილებითი ნაცვალსახელებს ჩემი და ჩვენი აქვს წოდებითი ბრუნვა.
3. კუთნილებით ნაცვალსახელებს აქვთ ებიანი მრავლობითის ბრუნვა.
4. ხშირ შემთხვევაში ერთანეთში ერევათ მესამე პირის ნაცვალსახელი **მათ** და
5. კუთნილებითი ნაცვალსახელი **მათი**. ამ პრობლემის მოსაგვარებლად მასწავლებელმა

სხვადასხვა სავარჯიშოებით გასაგები უნდა გახადოს ორივე ჯგუფის ნაცვალსახელის რაობა.

კითხვითი ნაცვალსახელების ბრუნება

კითხვითი ნაცვალსახელებია: ვინ? რა? რომელი? როგორი? რანაირი?

სადაური? როდინდელი? კითხვითი ნაცვალსახელების სწავლების დროს საჭიროა მართლწერის შემდეგ საკითხებს მიექცეს ყურადღება:

1. ხშირად რა კითხვითი ნაცვალსახელის კითხვითი ნაცვალსახელის მრავლობით ფორმას უმართებულოდ გამოთქვამენ და წერენ (რეები). უნდა გაირკვეს, რომ აქ კითხვითი ნაცვალსახელია **რა, ებ** კი მრავლობითის ნიშანი, ამიტომ უნდა იყოს **რაები** და არა **რეები**.
2. ასევე უმართებულოდ ხმარობენ **ვინ** კითხვით ნაცვალსახელს მრავლობით რიცხვში (ვინები). ვინ ნაცვალსახელს მრავლობითი რიცხვის ფორმა არ გააჩნია.

დანარჩენი ჯგუფის ნაცვალსახელები ბრუნებისას რაიმე განსაკუთრებულ თავისებურებებს არ ამჟღავნებენ.

თავი II - ქართული ენის სწავლების ისტორიისთვის

სკოლაში სხვა საგნებთან ერთად ისწავლება ქართული ენის ლექსიკა და გრამატიკა. გრამატიკა შეისწავლის სიტყვათა ცვლილებებსა და სიტყვათა წინადადებად შეკავშირებას.

ქართული ენის სწავლებას მრავალმხრივი მნიშვნელობა აქვს, მისი შეცნობის საფუძველზე მოსწავლე ეცნობა გარე სამყაროს. მშობლიურ ენაზე სწავლა-აღზრდა ძველ სკოლაში მიუღწეველი ოცნება იყო. ცარიზმი ყოველთვის ავიწროებდა, კრძალავდა ქართულ ენას სკოლებსა და სხვადასხვა დაწესებულებაში. ქართულმა ენის დევნა-შევიწროებამ განსაკუთრებით მწვავე ხასიათი მიიღო XIX საუკუნის მეორე ნახევარში, ყველაზე მძაფრი ის იყო, რომ ქართული ენა აიკრძალა არა მხოლოდ დაწესებულებებში, არამედ სკოლებშიც. ამას ადასტურებს იაკობ გოგებაშვილის სიტყვებიც როცა ის წერს: „საქალაქო პროგიმნაზიაში ხელსაქმისთვის დადებულია 306 გაკვეთილი, ტანციობისთვის და გიმნაზისტიკისათვის 196 და ქართული ენისათვის მხოლოდ 26 გაკვეთილი“ (თალაკვაძე, მ. 1959).

გრამატიკა შეისწავლის სიტყვაში მომხდარ ცვლილებებსა და სიტყვათა შეკავშირებას წინადადებად. მხოლოდ გრამატიკა აძლევს ენას მწყობრ ხასიათს და მხოლოდ გრამატიკის საშუალებით იქცევა ენა ორგანიზებულ აზრთა გაცვლა-გამოცვლის იარაღად.

გრამატიკის სწავლებას აქვს თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. გრამატიკის შესწავლით მოსწავლე ეუფლება ქართული ენის გრამატიკულ წყობას, მის თავისებურებებს, სიტყვათა ცვლილებებისა და სიტყვათა წინადადებად შეკავშირების წესებს, ენაში არსებულ კანონებს წესების მიხედვით ეს ყველაფერი მოსწავლეს უვითარებს განყენებული ლოგიკური აზროვნების უნარებს. გრამატიკის შეგნებული შესწავლა მისი წესების, განსაზღვრებების, კანონებისა და გრამატიკული ცნებების დაუფლება მოითხოვს მოსწავლესთან ხანგრძლივ და სისტემურ გონებრივ მუშაობას კონკრეტულ ნიმუშზე დაკვირვებას, შედარება შეპირისპირებას, ანალიზს მსჯელობას, სათანადო დასკვნების გაკეთებას, კონკრეტული მაგალითებიდან განზოგადებაზე გადასვლას. (თალაკვაძე, მ. 1959).

ქართული გრამატიკის სწავლების მეთოდთა წარმოადგენს ქართული ენის გრამატიკის სწავლების თეორიას. ამ თეორიის ცოდნა აუცილებელია, რომ მასწავლებელმა სწორად დაგეგმოს და სწორად წარმართოს გრამატიკის სწავლების პროცესი. მისი საგანია გარკვევის გრამატიკის სწავლების მიზანი და საჭიროება სწავლების სისტემაში. და ასევე განიხილოს გრამატიკის სწავლების თეორიული და პრაქტიკული საკითხები, შეიმუშაოს გრამატიკის სწავლების ორგანიზაციის ფორმები და პრინციპები. შეაფასოს და გაწეროს გრამატიკის სწავლების მეთოდები და ხერხები (თალაკვაძე, მ. 1956).

ქართული ენის სწავლებას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში საკმაოდ მრავალფეროვანი ისტორია აქვს. ცნობილია, რომ 1928 წელს საქართველოში ჩატარებულა „ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა კონფერენცია, რომელზეც მწვავედ ითქვა სკოლებში გრამატიკის სწავლების აუცილებლობის შესახებ.

1925 წელს გამოიცა შვიდწლიანი შრომის სკოლის გეგმა, რომელშიც ქართული ენისთვის გამოყოფილია ცალკე საათებიც, მაგრამ მასში ქართული ენის გრამატიკული მასალა სრულად არ იყო წარმოდგენილი. ქართული ენის გრამატიკა 1928 წლის „მთლიანი შრომის სკოლის პროგრამებშია“ წარმოდგენილი, 1928 წლის გრამატიკის პროგრამა მთლიანად ემყარება ფორმალურ გრამატიკულ მიმართულებას, რომლის ძირითადი მახასიათებელია ენობრივი მოვლენების განხილვა. (თალაკვაძე, მ. 1959).

1934 წლიდან პროგრამას ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი ახასიათებს, არაა „უფორმო“ მეტყველების ნაწილები- ზმნისართი, კავშირი, თანდებული ბრუნებადი სახელები დიფერენცირებულად კი არა, ერთადაა შეტანილი. მიუხედავად არაერთი ნაკლისა პროგრამა თავისთავად მნიშვნელოვანია, რადგან შეინიშნება ცდა მასალის სისტემატურობის პრინციპით დალაგებისა. (თალაკვაძე, მ. 1959).

1934 წლიდან პროგრამა მუდმივად განიცდიდა ცვლილებას. 1937 წლის პროგრამაში ენობრივი მასალა უფრო მეტად დაზუსტებული და აგნტვირთულია რთული და ძნელი მასალისაგან. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 198 წლის პროგრამაში მეტყველების ნაწილებადაა გამოყოფილი: ზმნიზედა, ნაწილაკი, შორისდებული, თანდებული და კავშირი. 1940 წლის პროგრამა ბევრად უფრო სისტემურია და დიფერენცირებულადაა წარმოდგენილი პროგრამა. იგი ემყარება აკადემიკოს ა. შანიძის გრამატიკის სახელმძღვანელოში მოცემულ დებულებებს. ამ პროგრამაში პირველად ცალკეა

გამოყოფილი სახელთ წარმოება, ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს მის დიფერენცირებულობაზე.(თალაკვაძე,მ. 1959).

მეოცე საუკუნის განმავლობაში მუდმივად იცვლებოდა ქართული ენის სწავლების ფორმა, შინაარსი და ხანგრძლივობა. ამ პერიოდში ქართული ენის ძირითადი საპროგრამო მასალა ორი დარგით - მორფოლოგიითა და სინტაქსით არის წარმოდგენილი. მე-5 კლასში ბრუნებადი სახელები, სახელთა წარმოქმნა და ზმნის ზოგიერთი კატეგორია ისწავლება: პირი და რიცხვი, ზმნისწინი, ასპექტი დრო და კილო,, მე-6 კლასში ზმნის შემდგომი კატეგორიები(სერიები და მწკრივები,თემა, ფუძე,თემის ნიშნები და სხვა).

1946 წლიდან 1955 წლამდე საქართველოს სკოლების თერთმეტწლიან სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით გრამატიკის კურსი გადანაწილდა ოთხ წელზე. V-VI კლასებში ისწავლებოდა მორფოლოგია, VII-VIII კლასებში - სინტაქსი. 1951-1955 წლებში ქართული ენა ისწავლებოდა IX-XI კლასებშიც და ეთმობოდა კვირაში ერთი საათი. IX კლასში გათვალისწინებული იყო ძველი ქართული ენის მორფოლოგიისა და სინტაქსის საკითხები, X-ში სინტაქსის, სტილისტიკისა და პუნქტუაციის გამეორება, XI-ში მოსწავლეებს ეძლეოდათ ზოგადი ცნობები ენის შესახებ, საკითხები ქართული სალიტერატურო ენის ისტორიიდან. 1956დან 1970 წლამდე ქართული ენა ისწავლებოდა V-VIII კლასებში.(ფურცელაძე, ნათია)

1975-1976 სასწავლო წლიდან IX კლასში შემოღებული იყო ქართული ენის საკვანძო საკითხების სწავლება (კვირაში ერთი საათი).

XX საუკუნის 90-იან წლებში, XXI საუკუნის 10-იან წლებამდე, გრამატიკა დამოუკიდებელ დისციპლინად ისწავლებოდა, ეთმობოდა ცალკე საათ(ებ)ი და სწავლების სისტემური ფორმა იყო პრიორიტეტული. V-დან VII კლასის ჩათვლით პროგრამა მოიცავდა მორფოლოგიის საკითხებს, VIII-IX კლასებში - სინტაქსის, X-XI-ში ისწავლებოდა ძველი ქართული ენა, ასევე სტილისტიკა, ლექსიკა, ფრაზეოლოგია, ზოგადი ცნობები ქართული ენის შესახებ.²

² (ნ.ფურცელაძე. სტატია „ქართული ენის სწავლების პრობლემები“)

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2006 წლიდან ამოქმედდა ეროვნული სასწავლო გეგმა ქართული განათლების სისტემა ჩაერთო ბოლონიის პროცესში და ამ პერიოდიდან დაიწყო ცვლილებები ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებით. მართალია, მასში არ იკითხება ქართული ენის სწავლების ფორმის შეცვლის, ან ქართული ენის, როგორც ცალკე სასწავლო დისციპლინის, გაუქმების შესახებ, მაგრამ ფაქტია, რომ ამ დროიდან ბევრი ცვლილება განხორციელდა, ეტაპობრივად, სამივე საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება გახდა ინტეგრირებული, საბოლოოდ კი, 2011 წლიდან ქართული ენა, როგორც ცალკე სასწავლო დისციპლინა, საერთოდ გაუქმდა.

თავი III - ქართული ენის სწავლება- სამართლებრივი ასპექტები

დღეს

ქართული ენის სწავლებას ზოგდასაგანმანათლებლო სკოლებში არაგულირებს შემდეგი სამართლებრივი დოკუმენტები: კანონი ზოგადი განათლების შესახებ, ეროვნული სასწავლო გეგმა, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი და ქართული ენის სწავლების სტანდარტი.

ზოგადი განათლების კანონში მოცემული გვაქვს ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებული შემდეგი მუხლი:

მუხლი 4: სწავლების ენა

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლების ენაა ქართული, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – ქართული ან აფხაზური. 2. აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, სადაც სწავლება ხორციელდება ერთ-ერთ სახელმწიფო ენაზე, მეორე სახელმწიფო ენის სწავლება სავალდებულოა. 3. საქართველოს მოქალაქეებს, რომლებისთვისაც ქართული ენა მშობლიური არ არის, უფლება აქვთ მიიღონ სრული ზოგადი განათლება მათ მშობლიურ ენაზე, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სავალდებულოა სახელმწიფო ენის სწავლება, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – ორივე სახელმწიფო ენისა. 4. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებულ შემთხვევებში შესაძლებელია, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლება განხორციელდეს უცხოურ ენაზე. ამ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სავალდებულოა სახელმწიფო ენის სწავლება, ხოლო აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში – ორივე სახელმწიფო ენისა[საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ].

მას შემდეგ რაც გრამატიკა ჩამოყალიბდა, როგორც ცალკე დისციპლინა და სკოლებში შევიდა ერთ-ერთ სასწავლო საგნად, იმ დროიდან 21-ე საუკუნის 10-იან წლებამდე გრამატიკა დამოუკიდებელ დისციპლინად ისწავლებოდა, მას ცალკე საათი ჰქონდა დათმობილი და ფორმა იყო სისტემური და დიფერენცირებული. V-დან VII კლასის ჩათვლით პროგრამა მოიცავდა მორფოლოგიის საკითხებს, VIII-IX კლასებში -

სინტაქსის, X-XI-შიისწავლებობადპველიქართულიენა, ასევეესტილისტიკა, ლექსიკა, ფრაზეოლოგია, ზოგადი ცნობები ქართული ენის შესახებ.

2006 წლიდან განათლების სისტემაში ამოქმედდა ეროვნული სასწავლო გეგმა. შემდგომში დაიწყო ცვლილებები განათლების სისტემაში, ეტაპობრივად შეიცვალა სწავლების გზები და ეტაპობრივად, დასაწყისში ზოგიერთ კლასში, შემდეგ კი სამივე საფეხურზე ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება გახდა ინტეგრირებული, საბოლოოდ კი, 2011 წლიდან ქართული ენა, როგორც ცალკე სასწავლო დისციპლინა, საერთოდ გაუქმდა.

ქართული ენის სწავლების სტანდარტში მოცემულია ძირითადი საკითხები გრამატიკიდან და ლიტერატურიდან, რომლებიც უნდა ისწავლებოდეს საბაზო საფეხურზე. ქვემოთ მოცემულია ქართული ენის სტანდარტში მოცემული გრამატიკის საკითხები.

დაწყებითი საფეხურის სტანდარტი

I-IV კლასების სტანდარტი

ბ) ენის გრამატიკული ასპექტი თხრობითი, კითხვითი, ბრძანებითი და ძახილის წინადადებების ამოცნობა და გამოყენება; სასვენი ნიშნების ამოცნობა და გამოყენება ნასწავლ კონტექსტებში (მაგ., ჩამონათვალში, დიალოგში); სიტყვათა ფორმაცვალების კანონზომიერებათა აღმოჩენა (მაგ., ზმნის უღლება, სახელის ბრუნვა, მხოლობითისა და მრავლობითის ფორმების წარმოება; სივრცული, დროითი და მიზეზ შედეგობრივი მიმართებების გამომხატველი ენობრივ გრამატიკული საშუალებების ამოცნობა და გამოყენება; მართლმეტყველებისა და მართლწერის საბაზისო ნორმების დაცვა.

V-VI კლასების სტანდარტი

ბ) ენის გრამატიკული ასპექტი: სიტყვათა მორფოლოგიური აგებულება (სახელთა ბრუნვის ფორმები და მათი ფუნქციები); ზოგიერთი გრამატიკულ-სემანტიკური კატეგორია (არსებითი სახელის ჯგუფები; ზმნის დრო, კილო, ასპექტი); წინადადებათა მოდალობები; წინადადების ძირითადი წევრები; ძირითადი სინტაქსური მიმართებები სიტყვებს შორის (შეთანხმება ზმნასა და სახელს შორის პირსა და რიცხვში); სახელისა და ზმნის ძირითადი გრამატიკული კატეგორიები და მათი სინტაქსური ფუნქციები წინადადებაში.

საბაზო საფეხურის სტანდარტი

გრამატიკის საკითხები

მორფოლოგია

ფორმაცვალებადი მეტყველების ნაწილები:

- სახელები (არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი): სახელთა ჯგუფები შინაარსის მიხედვით; სახელთა ბრუნება; სახელთა წარმოქმნა; კომპოზიცია.
- ზმნა: ძირითადი ზმნური კატეგორიები; გარდამავლობა; ზმნისწინი; ზმნის უღლება; თავისებური ზმნები.
- სახელზმნები (საწყისი და მიმდებარე).

ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები:

- ზმნიზედა (ადგილის, დროის, ვითარების, მიზეზისა და მიზნის);
- თანდებული (ცალკე მდგომი და შერწყმული);
- კავშირი და მისი ჯგუფები;
- ნაწილაკი და მისი ჯგუფები;
- შორისდებული და მისი ჯგუფები.

სინტაქსი

- სიტყვათა შორის სინტაქსური ურთიერთობის სახეები - შეთანხმება, მართვა, მირთვა;
- წინადადების წევრები: მთავარი და არამთავარი წევრები;
- წინადადება: წინადადება მოდალობის მიხედვით; წინადადება აგებულების მიხედვით; მარტივი წინადადება და მისი სახეები; შერწყმული წინადადება; რთული წინადადების სახეები; წინადადებათა შეერთების საშუალებები; დამოკიდებული წინადადების სახეები რთულ ქვეწყობილ წინადადებაში.
- განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები;
- პირდაპირი და ირიბი ნათქვამი.

აღნიშნულ ენობრივ-გრამატიკულ საკითხებთან დაკავშირებული სალიტერატურო ენის ნორმები, მართლწერა, პუნქტუაცია.

შემდეგი მნიშვნელოვანი სამართლებრივი დოკუმენტია ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი, რომელშიც მოცემულია ის ძირითადი ცოდნა, რასაც უნდა აკმაყოფილებდეს საბაზო-საშუალო საფეხურის ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებელი.

მუხლი 56. საბაზო ან/ საშუალო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის პროფესიული ცოდნა:

გ) გრამატიკა: გ.ა) მორფოლოგია და სინტაქსი; სახელები; სახელთა ბრუნება; მრავლობითი რიცხვის წარმოება; არსებითი, ზედსართავი, რიცხვითი სახელების წარმოება და ფუნქციები; ნაცვალსახელის ჯგუფები, წარმოება და თავისებურებები; სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებული საკითხები ძველ ქართულში; ზმნა; ზმნის პირი და პირიანობა; ზმნის დრო, კილო და ასპექტი, ქცევა, კონტაქტი, გარდამავლობა, გვარი; ზმნის წინი და მისი ფუნქციები (მიმართულება, ასპექტი, სიტყვაწარმოება); ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები; წინადადება; სინტაქსური კავშირის სახეები; წინადადებების კლასიფიკაცია შინაარსისა და შედგენილობის მიხედვით; მარტივი წინადადება; შერწყმული წინადადება; რთული წინადადება: თანწყობა და ქვეწყობა; პირდაპირი და ირიბი ნათქვამი; განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები; ძველი ქართული ენისათვის დამახასიათებელი სინტაქსური თავისებურებანი (ქართული ენის და ლიტერატურის მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი).

თავი IV - სახელების სწავლების მეთოდოლოგიური ტენდენციები გრიფირებული სახელმძღვანელოების მაგალითზე

დღესდღეობით სკოლებში ქართული ენა და ლიტერატურა ისწავლება ინტეგრირებულად. გრამატიკული მასალა გამომდინარეობს სახელმძღვანელოში არსებული ტექსტიდან.

2018 წელს შეიცვალა დაწყებითი საფეხურის სახელმძღვანელოები, მთლიანად განახლდა და გაიყო ორ ნაწილად. ზოგიერთმა საავტორო ჯგუფმა, მეხუთე და მეექვსე კლასებში გამოუშვეს ცალკე გრამატიკის წიგნები. 2019 წელს კი შეიცვალა საბაზო საფეხურზე მე-7 კლასის ქართული ენის და ლიტერატურის სახელმძღვანელო, ცალკე გამოვიდა გრამატიკის წიგნიც. საბაზო საფეხურზე მე-8, მე-9 კლასებში ქართული ენის და ლიტერატურის სწავლება ისევ ძველი რედაქციის წიგნებით მიმდინარეობს.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება ხორციელდება ქვემოთ ჩამოთვლილი წიგნებით:

I-VI კლასებში:

- ნინო გორდელაძე, თინათინ კუხიანიძე
(შპს "ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა");
- ვახტანგ როდონაია, ლალი ვაშაკიძე, მარიამ მირიანაშვილი, ავთანდილ არაბული
(შპს "გაზეთი საქართველოს მაცნე");
- ნანა სახეჩიძე, ნინო ხაჭვანი, ლანა ჭელიძე, ანა არველაძე
(შპს "აბიტურიენტთა ინტენსიური მომზადების ცენტრი");
- ნათელა მაღლაკელიძე, ცისანა ყურაშვილი, ელენე მაღლაკელიძე, ირინა ნადირაშვილი, სოფიკო მეხაშიშვილი
(შპს "გამომცემლობა მერიდიანი");
- ირინე იაშვილი, ლელა ქისტაური, ნინო მესხორაძე, ხათუნა რაზმაძე, ნინო მხეიძე, მაგდანა აბესაძე
(შპს "გამომცემლობა ტრიასი").

VII -IX კლასი

- დიანა ანფიმიადი, ზინა გაბიჩვაძე, ივანე ამირხანაშვილი
(შპს „გამომცემლობა არტანუჯი“);

- ნინო შარაშენიძე, ლია თუმური, ჯუანშერ წიქარაშვილი (შპს „გამომცემლობა დიოგენე“);
- ნათელა მაღლაკელიძე, ნანა ღონღაძე, თამარ ღონღაძე, თაია ცხადაია, დარეჯან კვანჭიანი, ნინო ჯაში, ნინო თოდუა, ნანა კუცია (შპს „გამომცემლობა მერიდიანი“);
- ვახტანგ როდონაია, ნინო ნაკუდაშვილი, ავთანდილ არაბული, მარინე ხუციშვილი, მანანა გიგინეიშვილი, ლაურა გრიგოლაშვილი, ლალი დათაშვილი (შპს „გამომცემლობა სწავლანი“).

გრამატიკული სახელების სწავლებას მოსწავლეები მეორე კლასიდან იწყებენ, როდესაც უშუალოდ ტექსტებთან და ლექსიკურ მარაგთან აქვთ შეხება.

სახელმძღვანელოების ანალიზისას შევიმუშავეთ ზოგადი ინდიკატორები, რის საფუძველზეც დავამუშავეთ სხვადასხვა საავტორო ჯგუფის სახელმძღვანელო. ეს ინდიკატორებია:

- სახელმძღვანელოს აგებისას რამდენად არის გათვალისწინებული სწავლების პრინციპები (დიდაქტიკური და ზოგადპედაგოგიკური).
- საგნობრივი მხარე, რამდენად სრულყოფილია საგნობრივი მხარე სახელმძღვანელოებში.
- ეხმიანება თუ არა თანამედროვეობას და რამდენად არის აგებული თანამედროვე სწავლების მეთოდების მიხედვით.
- გადის თუ არა მაღალ სააზროვნო უნარებზე სახელმძღვანელოში მოცემული დავალებები.

საავტორო ჯგუფი: ნათელა მაღლაკელიძე, ცისანა ყურაშვილი, ელენე მაღლაკელიძე, ირინა ნადირაშვილი, სოფიკო მეხაშიშვილის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოს აგებისას არ არის გათვალისწინებული ასაკთან შესაბამისობა, გრამატიკული მასალა არ არის მისაწვდომი და მარტივად გასაგები კონკრეტული ასაკის მოსწავლეებისათვის. მე-2 კლასიდან იწყებენ რთული გრამატიკული კატეგორიების შესწავლას, როგორცაა ძახილის წინადადება, კითხვითი წინადადება, ბრძანებითი წინადადება და თხრობითი წინადადება, შემოტანილია ტერმინებით და შესაბამის მოსწავლის რვეულში დავალებები აღნიშნულ საკიტებზე არის რთული ენით

დაწერილი, მაგალითად: მოცემული აქვს ძახილის წინადადებები, რომლებშიც მოსწავლეებმა ემოცია უნდა გამოიციონ სწორად, მოცემული წინადადებები საკმაოდ რთულია და მოითხოვს ბევრად უფრო დიდი ასაკობრივ მზაობასა და ლექსიკური მარაგის ფლობას, რომ სწორად დაიჭიროს ბავშვმა ემოცია. რაც შეეხება სისტემურობის პრინციპს მეტ-ნაკლებად არის დაცული, არსებითი სახელით იწყებს მესამე კლასს შემდეგ მიჰყვება რიცხვითი სახელი, ზედსართავი და შემდეგ ზმნა.

მოსწავლის წიგნში არცერთ კლასში არა არის წესის ქვემოთ მოცემული შესაბამისი დავალებები, რომლებიც მოსწავლეს და ეხმარება ცოდნის განმტკიცებაში, დავალებებ არარის ან არის მწირი და მშრალი.

მოსწავლის რვეულში აქვს შეტანილი სხვადასხვა ტიპის დავალება, მაგალითად დიახ არა ტიპის დავალება, სადაც ტექსტიდან გამომდინარე უნდა შეუსაბამოს მოსწავლემ სწორია არასწორიას მაგალითს. მაგალითად მოცემულია ტექსტი და ამ ტექსტიდან უნდა ამოიწერონ არსებითი და ზედსართავი სახელები. გრამატიკული დავალებები არ შეესაბამება თანამედროვე მეთოდოლოგიას, საერთოდ არ იყენებს თამაშით სწავლების პრინციპს, რაც თავისთავად მოსაწყენს და დამღლელს ხდის გრამატიკულ საკითხებს,

სახელმძღვანელო გათვლილია წესების დაზეპირებაზე, მაგალითად მე-4 კლასის სახელმძღვანელოში პირდაპირ აქვს მოყვანილი წესები და აწერია დაიმახსოვრეთ, მაგალითად მოცემულია პირის ნაცვალსახელები, მაგრამ არანაირი დავალება არ აქვს საკითხის დასასწავლად. პირდაპირ შემოაქვს მე-4 კლასში ყველა ბრუნვა იქვე წესი და არის ერთადერთი დავალება, აბრუნეთ სახელი და გვარი ერთად, რაც ასევე გაუმართლებელია, ბრუნების სწავლების დასაწისში, ვინაიდან სახელი და გვარის ერთად ბრუნება არც ისე მარტივია მე-4 კლასელისთვის.

მე-3 კლასში ახალი მასალის ახსნას იწყებს დავალებებით, მაგალითად მოცემულია დავალება, მიიღეთ რაოდენობითი რიცხვითი სახელებიდან რიგობითი რიცხვითი სახელი ბოლოს კი ახსნილია რიგობითი რიცხვითი სახელის მართლწერა.

ზედსართავი სახელის განმარტება არ აქვს მოცემული, მაგრამ შემოტანილი აქვს ტერმინი და ასეთი ტიპის დავალება, რომელი ზედსართავი სახელით ახასიათებს მწერალი, დაუსვით კითხვა როგორი? მოსწავლემ არ იცის ზედსართავი სახელის

მგანმარტება მხოლოდ კითხვას პასუხობს. ესეც არა სისტემურია, რადგანაც ზოგან შემოაქვს პირდაპირ ტერმინი და წესი და ზოგან ტერმინი განმარტების გარეშე. მე-4 კლასი მთლიანად დატვირთულია წესებით.

საავტორო ჯგუფი: ვახტანგ როდონაია, ლალი ვაშაკიძე, მარიამ მირიანაშვილი, ავთანდილ არაბული მიერ შედგენილი სახელმძღვანელოს ანალიზისას გამოჩნდა, რომ მეტ-ნაკლებად მიჰყვება სწავლების პრინციპებს. მაგალითად, მეორე კლასის სახელმძღვანელო ემყარება მისაწვდომობის პრინციპს, სასწავლო მასალა გადმოცემულია მარტივი ენით და გათვალისწინებულია ასაკი, დარღვეულია სისტემატურობისა და თანმიმდევრულობის პრინციპი მაგალითად: დაწყებულია საკუთარი სახელებით შემდეგ მოსდევს თავი, სულიერი და უსულო, მაგრამ არსად არ არის ნახსენები ტერმინი არსებითი სახელი განმარტების დონეზე, ხოლო მესამეში გადადის პირდაპირ პირის ნაცვალსახელებზე. მეოთხე კლასში ჯერ ისწავლება კუთვნილებითი ნაცვალსახელი და შემდეგ შემოდის ტერმინი არსებითი სახელი, რომელიც ისწავლება თავისი ჯგუფებით. მას მოჰყვება ბრუნება მრავლობითი რიცხვი და საკუთარი და საზოგადო არსებითი სახელები.

ამრიგად, როდონაიას საავტორო ჯგუფის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო, იყენებს სწავლების სხვადასხვა პრინციპს, გრამატიკული მასალა შეტანილია ინტეგრირებულად, გამომდინარეობს შესასწავლი ტექსტიდან. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც არის დაწყებით საფეხურზე, არის მარტივი ენით დაწერილი მრავალფეროვანი ილუსტრაციებით დატვირთული, სხვადასხვა უნარებზე გათვლილი დავალებებით, რომლებიც ძირითადად თამაშის პრინციპზეა აგებული, არის დავალებები, რომლებიც მაღალსაზროვნო უნარებს მოითხოვს, თუმცა ზედმიწევნით არ იცავს სისტემურობისა და თანმიმდევრულობის პრინციპს.

ამ საავტორო ჯგუფის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები გამოირჩევა მრავალფეროვანი დავალებებით, თანამედროვე მეთოდებით როგორებიცაა: იმუშავეთ ჯგუფურად, იმუშავეთ წყვილებში, ნახეთ მულტფილმი, ნახეთ ფილმი და სხვა.

ჩემი აზრით, დავალების რვეულები გამოირჩევა მრავალფეროვანი დავალებებით, არის სხვადასხვა უნარების გამომუშავებაზე გათვლილი, ძირითადად გამოყენებული აქვთ თამაშით სწავლება, რაც უფრო სახალისოს და საინტერესოს ხდის.

ზოგიერთი დავალება არის მაღალ სააზროვნო უნარებზე გათვლილი. სხვადასხვა ტიპის სააზროვნო დავალებებია, მაგალითად „რამდენიმე წინადადებით გადმოცით შინაარსი“. ამ ტიპის დავალებები გვხვდება მეორე, მესამე კლასებშიც. ხშირადაა დასახატი სამუშაოები, რაც გათვლილია შემოქმედებითი უნარების განვითარებისთვის.

საავტორო ჯგუფი: ირინე იაშვილი, ლელა ქისტაური, ნინო მესხორაძე, ხათუნა რაზმაძე, ნინო მხეიძე, მაგდანა აბესაძი მიერ შედგენილი სახელმძღვანელო არის მრავალფეროვანი ილუსტრაციებით, თანამედროვე მეთოდებითა და აქტივობებით შედგენილი.

დაცულია ასაკთან შესაბამისობა, იყენებენ თვალსაჩინოების პრინციპს, სახელმძღვანელოში გრამატიკული ნაწილი საერთოდ არ გვხვდება, გრამატიკული დავალებები მთლიანად გატანილია პირველიდან მეოთხე კლასამდე, ეს დავალებები არის მრავალფეროვანი, სხვადასხვა სირთულისა და სხვადასხვა უნარებზე გათვლილი, მაგალიტად მეორე კლასში თუ გრამატიკულ რიცხვს ასწავლიან ერთი და ეღრთზე მეტია მგვარი განმარტებით, მესამე კლასში უკვე შემოდის ტერმინი მხოლობითი და მრავლობითი რიცხვი. არაა ახსნილი მეტყველების ნაწილები, მაგრამ იყენებენ იყენებენ ტერმინებს არსებითი სახელი, რიცხვითი სახელი და ა.შ.

დავალებები ისეა აწყობილი, რომ მოსწავლეები თავად დავალებებიდან გამომდინარე მიდიან დასკვნამდე, ისინი თვითონ აღმოაჩენენ და გამოჰყავთ წესი. მეხუთე და მეექვსე კლასში გვხვდება გრამატიკის ცალკე სახელმძღვანელო მეხუთე კლასში მთლიანად შეტანილია ფონეტიკიდან დაწყებული ყველა სახელი, ხოლო მეექვსე კლასში იწყება ნაცვალსახელით და შესულია მთლიანად ზმნა.

დავალებები გრამატიკის სახელმძღვანელოებში არის მწირი რაოდენობის, უშუალოდ გამომდინარეობს ახსნილი მასალიდან. ჩემი აზრით უკეთესი იქნება თუ დავალებები იქნება უფრო მრავალფეროვანი და სხვადასხვა სირთულის.

საავტორო ჯგუფი: ნინო ხაჭვანი, ლანა ჭელიძე, ანა არველაძის სახელმძღვანელოში ძალიან მწირი რაოდენობით გვხვდება გრამატიკული მასალა. მოსწავლის რვეულში არის გრამატიკული დავალებები, თუმცა ძალიან მშრალად. სამუშაო რვეულებში დარღვეულია ასაკთან მისაწვდომობის პრინციპი. დავალებები ძირითადად სააზროვნოა, გრამატიკული დავალებები ძირითადად არ გვხვდება მე-3 კლასში.

სახელმძღვანელოში დარღვეულია სწავლების პრინციპები, როგორცაა სისტემურობის და თანმიმდევრობის. არეულად მიეწოდება მოსწავლეს გრამატიკული კატეგორიები.

საავტორო ჯგუფი: ანფიმიადი: დიანა ანფიმიადი, ზინა გაბიჩვაძე, ივანე ამირხანაშვილის მიერ შედგენილ ცალკე გამოცემულ გრამატიკის სახელმძღვანელოში მთლიანად შესულია ზმნის კატეგორიები, მორფოლოგიიდან არ ისწავლება სახელები.

საავტორო ჯგუფი: ნინო შარაშენიძე, ლია თუშური, ჯუანშერ წიქარაშვილის მიერ შედგენილ სახელმძღვანელოში შეტანილია არსებითი სახელი, რიცხვითი სახელი, ზედსართავი სახელი, ნაცვალსახელი და ზმნიდან რამდენიმე საკითხი.

ამ საავტორო ჯგუფის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო გამორჩეულია იმით, რომ ავტორი მიჰყვება და იცავს სისტემურობისა და თანმიმდევრობის პრინციპს, იწყებს სახელების სწავლებას თანმიმდევრულად. იწყება არსებითი სახელიდან ისწავლება ზმნამდე. შესულია მართლწერის საკითხები და შესაბამისი დავალებები.

ვფიქრობ, რომ სახელმძღვანელოში მოცემული გრამატიკული მასალა მართალია ამომწურავად არის, მაგრამ ჩემი აზრით, ზედმეტად ბევრი თეორიული მასალაა მოტანილი, რაც ერთი მხრივ სირთულეს წარმოადგენს და ასაკთან შესაბამისობაში არ არის.

დავალებები არის მრავალფეროვანი, გაასწორეთ ჩასვით, იპოვეთ შეცდომა, დააკავშირეთ, ამოწერეთ და ა.შ. მაგალითად: არსებითი სახელების მართლწერის შემდეგ მოყვანილია ტექსტი, რომელშიც ეუბნებიან მოსწავლეს, რომ უნდა იპოვოს 10 შეცდომა და გაასწოროს, ეს დავალება ჰგავს ეროვნული გამოცდების ტექსტის რედაქტირებას და ვფიქრობ, რომ ძალიან საინტერესო და საჭირო უნარებს ავითარებს.

მოტანილია ტექსტი, რევაზ ინანიშვილის „გოგონა რომელსაც ღამე შეუყვარდა“ მითითებულია, რომ ამოწერონ ტექსტიდან ზედსართავი სახელები მიუეწონ, რომელი ზედსართავი სახელი ადა რომელი პირისა და რიცხვის ფორმა.

სავარჯიშოები გრამატიკის სახელმძღვანელოში არის მრავალფეროვანი და თანამედროვეობას შეესაბამება, თუმცა ვისურვებდი უფრო მეტი რაოდენობის იყოს, რაც ხელს შეუწყობს საკითხისუკეთ გააზრებას. შინაარსობრივი შეცდომა სახელების სწავლებისას არ გვხვდება.

თავი V - სახელთა სწავლება თანამედროვე მეთოდოლოგიაში გზამკვლევებში

ამ ეტაპზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში გვაქვს მხოლოდ ორი საგნობრივი გზამკვლევი, მათგან ერთი 2011 წელს გამოიცა ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისათვის, ხოლო 2013 წელს კი- საბაზო საფეხურის მასწავლებლებისთვის. მოცემული გზამკვლევები ეფუძნება 2011-2016 წლების ეროვნულ სასწავლო გეგმას. საბაზო საფეხურის გზამკვლევში არის ქვეთავი „ენის სწავლების საკითხები ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ პროგრამაში“. ქვეთავი მომზადებულია თინათინ ბოლქვაძის მიერ. სტატიაში მოცემულია ზოგადად ქართული ენის და ლიტერატურის სწავლებასთან დაკავშირებით, ასევე განხილული აქვს გრამატიკის პრობლემური საკითხები და მათი სწავლების ზოგიერთი მეთოდი.

ქვეთავში ცალკეა მოცემული მორფოლოგიის პრობლემური საკითხები, კერძოდ გრამატიკული სახელების სწავლებასთან დაკავშირებული აქტივობები.

ავტორი ყურადღებას ამახვილებს სახელების სწავლებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა პრობლემურ საკითხზე. საბაზო საფეხურზე მოსწავლეთა ყურადღების გასამახვილებლად საჭიროდ მიჩნევს შეჩერდეს ბრუნვასა და რიცხვზე. „სასურველია, ამ ორ კატეგორიასთან დაკავშირებული საკითხები შედარებით დაწვრილებით იქნეს განხილული, რადგან კუმშვა-კვეცის თვალსაზრისით ქართული ენის აღმოსავლური და დასავლური დიალექტები განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ქართული სალიტერატურო ენა აღმოსავლურ დიალექტს მისდევს მაშინ, როცა დასავლურ დიალექტებს სახელის კუმშვა არ ახასიათებს. მაგალითად იმერულ დიალექტისთვის ბუნებრივია: ფოთოლის, მგელის, წყალის, ხეის და ასე შემდეგ, რაც თავის მხრივ, მეგრულის გავლენის შედეგი უნდა იყოს. ამის საპირისპიროდ აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტებში ძალიან ხშირია კუმშვა თვით ისეთ შემთხვევაში კი, როცა სალიტერატურო ქართული კუმშვას არ უშვებს მაგალითად, ოპერის-ოპრის.“ (თინათინ ბოლქვაძე). ასეთი შემთხვევისთვის ავტორი გვთავაზობს "ვიცი, მინდა ვიცოდე, ვისწავლე" აქტივობას. მასწავლებელი გაკვეთილის ახსნამდე ავსებინებს მოსწავლეებს გრაფას „ვიცი" და შემდეგ „მინდა ვიცოდე". მოსწავლეები ავსებენ გრაფებს და წერენ თეზისებს ამ საკითხთან დაკავშირებით. მაგალითისთვის წარმოვადგინოთ გზამკვლევში მოცემული ნიმუში:

5.1

<i>ვიცი</i>	<i>მინდა ვიცოდე</i>	<i>ვისწავლე</i>
<i>არსებითი სახელი იბრუნვის</i>	<i>როგორ იცვლება ფუძე ბრუნვის დროს</i>	<i>სახელის ფუძე შეიძლება შეიკუმშოს ან შეიკვეცოს</i>

გზამკვლევაში სტატიის ავტორი, ასევე გვთავაზობს კიდევ ერთ აქტივობას ტექსტში გამოყენებული ფორმების განზოგადებით. ამის მაგალითია, როდესაც მასწავლებელი მოსწავლეებს დაფაზე ავსებინებს ცხრილებს უკვე ნასწავლი მეტყველების ნაწილების შესადარებლად. მაგალითად:

5.2

<i>მეტყველების ნაწილები</i>	<i>ფორმა ცვალ.</i>	<i>ფორმა უცვლ.</i>	<i>იბრუნვის</i>	<i>აქვს მრ. რ.</i>	<i>კითხვები</i>					
					<i>ვინ?</i>	<i>რა?</i>	<i>როგორი?</i>	<i>რომელი?</i>	<i>რამდენი?</i>	<i>მერამდენე?</i>
<i>არსებითი სახელი</i>	<i>+</i>	<i>+</i>	<i>+</i>	<i>+</i>	<i>+</i>	<i>+</i>	<i>-</i>	<i>-</i>	<i>-</i>	<i>-</i>
<i>ზედსართავი სახელი</i>	<i>+</i>	<i>+</i>	<i>+</i>	<i>+</i>	<i>-</i>	<i>-</i>	<i>+</i>	<i>+</i>	<i>-</i>	<i>-</i>
<i>რიცხვითი სახელი</i>	<i>+</i>	<i>+</i>	<i>+</i>		<i>-</i>	<i>-</i>		<i>-</i>	<i>+</i>	<i>+</i>

პროვოცირების ეტაპზე ასეთი ცხრილის გამოყენება საშუალებას მისცემს მოსწავლეებს ვარაუდები გამოთქვან შესასწავლ მასალასთან დაკავშირებით. მაგალითად თუ მოსწავლეებს რიცხვითი სახელი მთლიანად არ შეუსწავლიათ შესაძლებელია ვარაუდების გამოთქმა, საკითხის გაანალიზების შემდეგ კი სქემაში შესწორებების შეტანა.

გზამკვლევაში გვხვდება ასევე „ვენის დიაგრამა“. ვენის დიაგრამა საშუალებას გვაძლევს დავინახოთ მსგავსება-განსხვავება სახელებს შორის. მასწავლებელი წინასწარ შეარჩევს სიტყვებს და ვენის დიაგრამის გამოყენებით მოსწავლეები დაფაზე წერენ სიტყვებს შორის მსგავსება-განსხვავებებს.

ზემოთ აღნიშნული გზამკვლევების გარდა მასწავლებლისთვის დამხმარე რესურსები შეიძლება მოინახოს ელექტრონულ ჟურნალში „<http://mastsavlebeli.ge>“.

ჟურნალში გვხვდება ნინო მასურაშვილის სტატია „პრაქტიკული გრამატიკის სწავლება სააზროვნო სქემებით“³. სტატიაში მიმოხილულია გრამატიკის სწავლება სააზროვნო სქემებით და დიაგრამებით. საინტერესოა მისი მოსაზრება ენის სწავლებისას ტექნოლოგიების გამოყენებასთან დაკავშირებით. ავტორი გვთავაზობს ელექტრონული რესურსების შექმნას და მის გამოყენებას საგაკვეთილო პროცესში. მისი აზრით მოსახერხებელია ჩვეულებრივი power point -ის პროგრამა, ინტერაქტიური პრეზენტაცია, რომელიც მასწავლებელს დაეხმარება როგორც ახსნისას, ისე განმტკიცებისა და განმეორების შემთხვევაში.

საინტერესო შეთავაზებაა გრამატიკული სავარჯიშოების მრავალფეროვნებისთვის და საინტერესო გაკვეთილისთვის ონლაინ პლატფორმა <https://learningapps.org/> -ის გამოყენება. რომლითაც შესაძლებელია მრავალფეროვანი და საინტერესო სასწავლო რესურსის მოძიება. მიზნობრივად შეიძლება მასწავლებელმა გამოიყენოს – ვიქტორინა, სიტყვების ჩასმა, დაწყვილება, დანართების მატრიცა, პროგრამა მოსახერხებელია იმ თვალსაზრისითაც, რომ შესაძლებელია სამუშაო ენის არჩევა.

მართლაც ამ ტიპის სწავლებით სასწავლო პროცესი უფრო აქტიური, საინტერესო და პროდუქტიული ხდება მოსწავლეებისთვის, მოსწავლეების მოტივაცია იზრდება და ისინი უფრო მეტად ჩაართულები არიან საგაკვეთილო პროცესში.

საინტერესო აქტივობებია მოცემული ელექტრონულ ჟურნალში mastsavlebeli.ge-ზე ერთ-ერთ სტატიაში, რომლის ავტორია ნინო ლომიძე გვხვდება სხვადასხვა აქტივობა სახელებთან დაკავშირებით როგორებიცაა: ფაზლი, სავარჯიშო პირობითი სათაურით „კაცი სკვერში“.

სავარჯიშო საკმაოდ ხალისიანი და ეფექტანია. ჯგუფურად შესრულების შემთხვევაში მუშაობს ურთიერთსწავლების ფაქტორიც.

„ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის დასახვეწად ძალიან კარგია მცირე, ერთაზნობრივი საწერი დავალებების მიცემა. მას შემდეგ, რაც მასწავლებელი ახსნის რომელიმე სასვენი ნიშნის დანიშნულებას, მოსწავლეებს მიეცემათ დრო რაიმე თემაზე ერთი აზრის დასაწერად (თემის არჩევა მათვე შეგვიძლია მივანდოთ). წერის დასრულების შემდეგ პირველ რიგში თავად არედაქტირებენ ნამუშევარს, შემდეგ კი

³ <http://mastsavlebeli.ge/?p=20506>

რვეულებს უცვლიან ერთმანეთს და უსწორებენ პუნქტუაციურ ან ორთოგრაფიულ შეცდომებს. მასწავლებლის მიერ აწითლებული და გამოყოფილი შეცდომები ერთია, თანაკლასელის მიერ აღმოჩენილი და შესწორებული კი – სულ სხვა. ამ სავარჯიშოს პირობითად „შეცდომებზე ნადირობა“ შეიძლება დავარქვათ. თამაშებისა და მსგავსი სავარჯიშოების გამოყენება გაკვეთილებზე ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას, ინტერესს შესასრულებელი დავალების მიმართ და აუმჯობესებს სწავლა-სწავლების ხარისხს. თამაშები და სავარჯიშოები ადვილი შესასრულებელი და სახალისო უნდა იყოს."⁴

⁴ ნინო ლომიძე, „გრამატიკის რევიზია იუმორის საშუალებით“, <http://mastsavlebeli.ge/?p=12439>

თავი VI - მცირე მეთოდოლოგიური გზამკვლევი

გთავაზობთ ჩვენ მიერ შეთავაზებულ სანიმუშო აქტივობებს მასწავლებლებისათვის, ქვემოთ მოცემული აქტივობები კვლევის პროცესში გადავამუშავეთ და ჩვენებურად მოვარგეთ კონკრეტულ საკითხს.

მასწავლებლებს თვისუფლად შეუძლიათ გადააკეთონ და მოარგონ საკუთარ გაკვეთილს ასახსნელი მასალის მიხედვით.

1. სიტყვის კარადა (ეს აქტივობა გათვლილია იმ ეტაპისთვის, როდესაც მოსწავლეებს ნასწავლი აქვთ ყველა ტიპის არსებითი სახელი და მასწავლებელი აჯამებს თემას)

მოსწავლეები დაიყოფიან ორ ჯგუფად (ჯგუფები დამოკიდებულია მოსწავლეთა რაოდენობაზე).

(I ჯგუფი: მაგიდა, კალამი, და, ენძელა, პეპელა, სილამაზე, რემა, თაფლი, მოსწავლე, თბილისი, ნიორი, ხუცესი, ამბავი, ღვინო, რუ, გიორგი, ვახტანგი, ნიკო, ქეცბაია, მინამე, ბარათაშვილი, წერეთელი, მწერალი ილია ჭავჭავაძე,

II ჯგუფი: სახლი, მამალი, ხე, ტოროლა, ტომარა, ვაჟკაცობა, ნახირი, რძე, მასწავლებელი, ჩხოროწყუ, მაწონი, ხუცესი, ამბავი, ღვინო, ბუ, მარიამი, ლევანი, ნინო, მაქაცარია, კაპანაძე, ნიკოლეიშვილი, მაჩაბელი, ექიმი გიორგი ტორონჯაძე)

სამ უჯრაში მასწავლებელი გადაანაწილებს მოცემულ არსებით სახელებს, ჯგუფები უჯრებიდან იღებენ მათი ჯგუფის შესაბამის ფერ ბარათს, სადაც ჩამოწერილია არსებითი სახელები. ჯგუფებს ეძლევათ დრო არსებითი სახელების გასარჩევად და დასახასიათებლად.

აქტივობის მიზანია მოსწავლეებმა შეაჯამონ არსებითი სახელი მთლიანად. მოახერხონ ცოდნის მობილიზება და დიფერენცირება.

2. T დიაგრამა

სწორია/არასწორია.

მასწავლებელი დაფაზე ჩამოწერს რიცხვით სახელებს (რიცხვითი სახელების რაოდენობა დამოკიდებულია მოსწავლეთა რაოდენობაზე, იმისათვის რომ ყველამ მიიღოს მონაწილეობა).

მოცემული რიცხვითი სახელები: მე-2, მე-21-ე, X -ე, 1-ლი, მეორადი, ერთნახევარი ლარი, 2-სართულიანი, მერვეკლასელი, ათას სამას ორმოც და რვა, ას ოთხმოცდახუთი, მე-60.

მოსწავლეებს დაურიგდებათ წინასწარ გამზადებული სქემა, სადაც გადაანაწილებენ რიცხვით სახელებს. შემდეგ მასწავლებელს გამოჰყავს მოსწავლეები დაფასთან და თითოეულ რიცხვით სახელს შესაბამის მხარეს წერენ. აქტივობაში ჩართულია ყველა მოსწავლე, ამასთანავე მასწავლებელი სთხოვს, რომ ყურადღებით იყვნენ და პარალელურად ჩაასწორონ შევსებული დიაგრამა.

აქტივობა ემსახურება რიცხვითი სახელის მართლწერის დასწავლას.

3. ურთიერთსწავლების მეთოდი

(სასწავლო რესურსის შექმნა)

მასწავლებელი ავალეებს მოსწავლეებს, პირობითად მეცხრე კლასელები მეექვსე კლასელებისთვის ქმნიან რესურს ზედსართავი სახელის შესახებ. მეცხრე კლასელები ჯგუფში ინაწილებენ თემას და ქმნიან სხვადასხვა რესურსს, შესაძლოა მოსწავლეებს ჰქონდეთ გნასაზღვრული მცირე ბიუჯეტი რომლითაც შეიძენენ საკანცელარიო ნივთებს და დაამზადებენ საინტერესო, სახალისო და მრავალფეროვან რესურსს. მაგალითად: შექმნან ყუთი რომელშიც იქნება სხვადასხვა ზედსართავი სახელი (მოსქო, უკეთესი, ქუდიანი, მოთეთრო და სხვა) ვინც სწორად დახასიათებს წასახალისებლად მისცემენ სიმბოლურ საჩუქარს ეს შეიძლება იყოს კანფეტი. ამ რესურსს მეცხრე კლასელები გამოიყენებენ მეექვსე კლასელებისთვის.

(გამოყენებულია გამოკითხული მასწავლებლის აქტივობა)

აქტივობის დადებითი მხარეა მეცხრე კლასელები გაიხსენებენ ზედსართავ სახელებს, გამოიმუშავენ სხვადასხვა უნარს რესურსის შექმნისას, დაეხმარებიან მეექვსე კლასელებს. ერთი მხრივ გაიხსენებენ საკითხს და მეორე მხრივ გაუზიარებენ სხვებს. ამ მეთოდის ერთ ერთი დადებითი მხარეა ის, რომ როდესაც სხვას ასწავლი უკეთესად სწავლობ, ამ შემთხვევაში მეცხრე კლასელები მასწავლებლის ფუნქციას ითავსებენ.

4. კომიქსი ნაცვალსახელებზე

მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს კომიქსის დახატვას და სთხოვს ნაცვალსახელების გამოყენებას. ეს კომიქსი შეიძლება დაავალოს მასწავლებელმა კონკრეტული ჯგუფის სწავლებისას და შესაძლოა გამოიყენოს მთლიანად ნაცვალსახელის შეჯამებისას, როდესაც ნაცვალსახელის ყველა ჯგუფი ნასწავლი აქვთ.

მაგალითად: კომიქსი შეიძლება იყოს ასეთი: დავუშვათ გვინდა, რომ მოსწავლეებმა ჩვენებითი და კუთნილებითი ნაცვალსახელების გამოყენებით შექმნან კომიქსი, მოსწავლეები ხატავენ სურვილისამებრ სიუჟეტს და პერსონაჟებს აამეტყველებენ კუთნილებითი და ჩვენებითი ნაცვალსახელებით.

ეს აქტივობა ხელს უწყობს მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარის განვითარებას ამასთანავე ხდება დასწავლა ნაცვალსახელის კონკრეტული ჯგუფების. აქტივობა საკმაოდ სახალისო და მრავალფეროვანია მოსწავლეებისთვის, არ არის ტრადიციული და მოსაბეზრებელი. იზრდება მოსწავლეების ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში.

5. „დოლი“

სახელთა მართლწერის გასავარჯიშებლად საინტერესო აქტივობაა თამაში „დოლი“. მასწავლებელს შეუძლია წინასწარ შექმნას ელექტრონული რესურსი, ტექსტის ტიპის სავარჯიშო მოცემულ საიტზე: learningapps.org. საიტზე შევხვდებით სხვადასხვა ტიპის თამაშებს, რომელიც შესაძლებელია მოვარგოთ სურვილისამებრ კონკრეტულ საკითხს. აქტივობა არის სახალისო, მრავალფეროვანი და მოსწავლეების ინტერესს იწვევს. ამ თამაშში შეიძლება ჩაერთოს მთელი კლასი ან შეასრულოს მოსწავლემ ინდივიდუალურად ეს დამოკიდებულია მასწავლებლის რესურსზე, თუ რამდენად აქვს წვდომა კომპიუტერთან. ნიმუშად წარმოვადგინეთ სახელთა მართლწერასთან დაკავშირებული თამაში: <https://learningapps.org/display?v=pb8z7kr7t19>

კვლევითი ნაწილი

კვლევის ზოგადი აღწერა

სამაგისტრო ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე სამაგიდე კვლევის პროცესში გამოვიყენე თვისებრივი კვლევა, კერძოდ ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ. ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუსთვის გამოყენებული გვქონდა ინსტრუმენტად კითხვარი, საორიენტაციო კითხვებისთვის.

კვლევის დიზაინი და მეთოდი

საკითხის შესწავლისთვის გამოყენებული იყო ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს მეთოდი. რესპოდენტებად შეირჩნენ თბილისის კერძო და საჯარო სკოლების დაწყებითი და საბაზო საფეხურის მასწავლებლები, მათივე თხოვნით კომფიდენციალურობის მოთხოვნის გამო, თავს ვიკავებთ მათი ვინაობის დასახელებისგან.

თვისებრივი კვლევის ჩატარებისა მონაცემების შეგროვების მიზნით, გვინდოდა რაც შეიძლება მეტი მასწავლებლის გამოკითხვა, თუმცა სკოლებში მისვლისას პრობლემა შეიქმნა, დირექტორთა ნაწილმა უარი განაცხადა სკოლაში შემვებაზე, გარკვეული მიზეზების გამო, მხოლოდ 35 მასწავლებლის გამოკითხვა მოხერხდა.

კვლევა ჩავატარეთ იმ სკოლებში, სადაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მემორანდუმი აქვს გაფორმებული. ზოგიერთმა მასწავლებელმა უარი განაცხადა კვლევაში მონაწილეობაზე. კვლევის შეზღუდვა იყო ის, რომ მასწავლებლები თავს არიდებდნენ ინტერვიუს მიზეზად დროის უქონლობას ასახელებდნენ. უარეს შემთხვევაში კი ცდილობდნენ პასუხი სწრაფად და უფიქრებლად გაეცათ, რაც პასუხებს ბუნდოვანს და არაფრის მომცემს ხდიდა. ზოგიერთმა მასწავლებელმა უარი თქვა ინტერვიუზე, მიზეზად დაასახელა ის, რომ არ ესმოდათ კითხვარის შინაარსი.

კვლევისას მასწავლებლებს გავაცანით ჩვენი სამაგისტრო თემის მიზანი და თუ რას ეხებოდა ჩვენი კვლევა. მათ სხვადასხვაგვარი პასუხები გაგვცეს, პასუხები დავაჯგუფეთ და ერთად წარმოვადგინეთ.

ინტერვიუს დღეებითი მხარე ისაა, რომ გამოკითხვის დროს ვსამდით საორიენტაციო კითხვებს და თუ საჭიროება მოითხოვდა ვსვამდით დამატებით შეკითხვებს საკითხის უკეთ გააზრებისთვის.

გთავაზობთ ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუს კითხვარს, რომელიც გამოვიყენეთ საორიენტაციო კითხვებისთვის:

1. რა ინფორმაციას ფლობთ ტრადიციული და ინოვაციური მეთოდებისა და სტრატეგიების შესახებ? თქვენი გამოცდილებიდან გამომდინარე გაგვიზიარეთ რა მიმართებები არსებობს მათ შორის? რომელს ანიჭებთ უპირატესობას ტრადიციულ თუ ინოვაციურ მეთოდებს? რატომ?
2. თქვენი სასწავლო გამოცდილებიდან გამომდინარე, რომ გვითხრათ სასწავლო პროცესში როდის რომელი მეთოდი/სტრატეგიაა უპირატესი **ტრადიციული** თუ **ინოვაციური**?
3. გაგვიზიარეთ თქვენი გამოცდილება, კონკრეტულად რომელ ინოვაციურ მიდგომებს იცნობთ სახელების სწავლებისას?
4. როგორც წესი, კათედრები თავად თანხმდებიან კონკრეტულ რუბრიკებზე. რომ გაგვიზიაროთ, რა კონკრეტული რუბრიკები, სქემები, მეთოდები, სტრატეგიები ან რეკომენდაციები აქვს შემუშავებული თქვენს სკოლას, ანუ თუ გაქვთ რაიმე ერთიანი მიდგომა?

და თუ აქვს თქვენს სკოლას ეს ერთიანი მიდგომა სახელების სწავლებისათვის?

5. თქვენი დაკვირვებით უფრო მეტად რომელ მეთოდს ტრადიციულს თუ ინოვაციურს გაჰყავს მასწავლებელი მიზანზე სახელების სწავლებისას?
6. თუ შეგიძლიათ, რომ გაგვიზიაროთ როგორ იყენებთ თქვენ მიერ შემუშავებულ მეთოდებს სახელების სწავლებისას?

როგორია ამ მხრივ თქვენი მეთოდური გამოცდილება

- როგორ ფიქრობთ, არსებითი სახელების მართლწერის უკეთ სწავლებისთვის, რომელი სტრატეგია უნდა გამოიყენოს მასწავლებელმა? თქვენ რომელს იყენებთ?
- ბრუნების სწავლებისთვის რომელი ხერხი/ მიდგომაა უფრო უკეთესი?
- რიცხვითი სახელის სწავლებისას რომელ ხერხს/მიდგომებს იყენებთ?

- ზედსართავი სახელის სწავლებისას რომელ ხერხს/მიდგომებს იყენებთ?
- ნაცვალსახელის სწავლებისას რომელ ხერხს/მიდგომებს იყენებთ?
- თქვენი გამოცდილებით რომელი მეთოდი ეხმარება მოსწავლეს ნაცვალსახელის ბრუნების გააზრებისთვის?

მოდი ერთად ვიფიქროთ თქვენი გამოცდილებიდან გამომდინარე რომელი სტრატეგიები ან აქტივობები გაგვიყვანს უკეთეს შედეგზე?

7. არსებობს ცნობილი ინოვაციური მეთოდები, თქვენ თუ შეგიცვლიათ თქვენებურად რომელიმე მათგანი ან თუ შეგიქმნიათ თავად სახელების სწავლებისას? გაგვიზიარეთ თქვენი გამოცდილება
8. როგორც წესი, სახელების სწავლების პროცესში, რომელია ყველაზე გავრცელებული პრობლემა, რომელსაც თქვენ ყველაზე ხშირად აწყდებით სწავლებისას?
9. თქვენ რაში ხედავთ გამოსავალს აღნიშნული პრობლემების მოსაგვარებლად?
10. როგორ გგონიათ, თქვენ მიერ გამოყენებული სწავლების მეთოდები/სტრატეგიები რამდენად ეხმარება მოსწავლეს მიღებული გრამატიკული ცოდნა პრაქტიკაში გამოიყენოს?

წარმოგიდგინოთ კვლევის შედეგების თვისებრივი ანალიზს

გამოკითხულ მასწავლებელთა უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ ტრადიციული და ინოვაციური მეთოდები ერთმანეთს არ გამოირიცხავდა, მათი გამოყენება კომბინირებულად გაცილებით უფრო ნაყოფიერია და ასევე იმასაც აღნიშნავდნენ, რომ ტრადიციული და ინოვაციური მეთოდების გამოყენება დამოკიდებული იყო, ასახსნელ მასალასა და გაკვეთილის ფაზებზე. ძირითადი ნაწილი ჯერ კიდევ ტრადიციული მეთოდების ერთგული გახლავთ, მასწავლებლების მხოლოდ მცირე ნაწილისთვის იყო ინოვაციური მეთოდები უპირატესი.

ინტერვიუს პროცესში უშუალოდ უნდა დაესახელებინათ კონკრეტული აქტივობა, გზა, ხერხი, სტრატეგია, მიდგომა, რომელსაც იყენებდნენ სახელების სწავლების პროცესში. ძირითადად მასწავლებელთა უმეტესობას უჭირდა კონკრეტიზება, ზოგიერთმა კი შეძლო პასუხის გაცემა. გთავაზობთ მათ პასუხებს:

„ბრუნების სწავლებისას მოსწავლეებს ვთხოვდი ერთი და იმავე სიტყვის მოძებნას ტექსტში, შემდეგ ვაკვირდებოდი ფორმის ცვალეზადობას და ვხსნიდი ბრუნვას, შემდეგ დაფაზე ვაწერინებდი სიტყვებს და ნახავდნენ რა განმასხვავებელი ნიშნები იყო ამ ფორმებს შორის და რა ჰქონდათ საერთო, და შემდეგ მიდიოდნენ დასკვნამდე, რომ ეს იყო ბრუნება“

„არსებითი სახელისა და ბრუნების სწავლებისას შედგენილი მაქვს ტესტები“

„რიცხვითი სახელის სწავლებისას ვიყენებ შემაჯამებლის ტიპის ტესტებს“

„ზედსართავი სახელის სწავლებისას პროექტორით ვაჩვენებ სხვადასხვა ფერის ზედსართავ სახელებს“;

„მოსწავლეები ფორმატზე თავადვე წერენ სახელებს თავისი კითხვებითა და მაგალითებით და აჯამებენ“;

„არსებითი სახელის სწავლებისას, ვიწყებთ ასე რა მოსწონთ რა არ მოსწონთ, მათთვის რა არის არსებითი სახელი, ვსვამ სხვადასხვა კითხვას და თვითონ მიდიან პასუხამდე“;

„ნაცვალსახელის სწავლებისას ვიყენებ ფუნდამენტურს და შემდეგ სანამ უშუალოდ ინივაციურ აქტივობებზე გადავალთ უნდა მოხდეს ნაცვალსახელის ჯგუფების ერთმანეთისაგან გამიჯვნა, რომ არ მოხდეს ერთმანეთში აღრევა, ამიტომ აუცილებელია წესების დასწავლა“;

„ხშირად ვიყენებ სენდვიჩის აქტივობას, ერთმანეთს ამატებენ ინფორმაციას, შესწავლილს რას ამატებ, მინდა ვიცოდე, ვიცი, რა გავიგე“;

„კუმშვად-კვეცადი სახელების სწავლებისას ერთად მოვიფიქრეთ მოთხრობა, რომელმც ყველა კუმშვად-კვეცადი სახელია ჩართული და შემდეგ ზეპირად ისწავლეს ძლიან სწრაფად და ყველას შეეძლო მოყოლა და ასე ის რამდენიმე სიტყვაც სწრაფად დაიმახსოვრეს“;

„სახელების სწავლება ბარათების საშუალებით, ზედსართავი სახელის ახსნა საკლასო ოთახის აღწერით, საკუთარი თვის დახასიათებით, ხარისხის ფორმების სწავლება ნახატების სასუალებით, სახელების მართლწერის სწავლება მზის სხივის გამოყენებით“;

„მქონია როლური თამაში ბრუნვებზე“;

„ერთმა ჯგუფმა შექმნა,გრამატიკული დაფა,დახატეს ცისარტყელა ჯიბე მიაწებეს და ბარათებზე ჩამოწერეს კუმშვადი, უკუმშველი,კვეცადი,უკვეცილო და კუმშვად-კვეცადი სახელები და მეექვსე კლასელებს ჩაუტარეს თამაში, ეს ბარათები გადაუნაწილეს“.

როგორც წესი კათედრები თავად თანხმდებიან სწავლების ერთიან მიდგომებზე, მასწავლებლებს ვეკითხებოდით ჰქონდათ მათ ერთიანი მიდგომა სახელების სწავლებისთვის? აღმოჩნდა, რომ ფაქტობრივად არცერთ სკოლაში არ არსებობს სახელების სწავლების ერთიანი მიდგომა, რითაც იხელმძღვანელებენ მასწავლებლები. უნდა აღინიშნოს , რომ ერთიანი მიდგომის არქონა, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს, იმას, რომ სკოლებში გრამატიკის სწავლება არასისტემური და ქაოტურია.

აბსოლიტური უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ ესგ-თი გათვალისწინებულ მიზნებზე გაჰყავდა ტრადიციულსაც და ინოვაციურსაც ერთად,დამოკიდებული იყო ასახსნელ მასალაზე, მათგან რამდენიმე ფიქრობდა, რომ მიზანზე მხოლოდ ინოვაციურ მეთოდს გაჰყავდა,რადგან ინოვაციური მეთოდებით ჩატარებული გაკვეთილები იყო უფრო მეტად სახალისო და საინტერესო.რაც შესაბამისად იწვევდა მოსწავლეების აქტიურობას და ჩართულობას.

მასწავლებლებს ვეკითხებოდით, რომელი იყო ყველაზე მეტად გავრცელებული პრობლემები, მასწავლებელთა უმეტესობა ასახელებდა: ბრუნებას, კუმშვას, კვეცას, ნაცვალსახელთა ბრუნებასს, რიცხვითი სახელის მართლწესა, ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმებს და მასთან დაკავშირებული მართლწერას.

ინტერვიუს პროცესში მასწავლებლებს ვკითხეთ,რა მექანიზმები ჰქონდათ შემუშავებული ამ პრობლემების გადასაჭრელად, შეიძლება ითქვას , რომ უმეტესობას არ გააჩნდა კონკრეტული ხედვა პრობლემის მოსაგვარებლად,მათგან ძალიან მცირე რაოდენობას ჰქონდა შემუშავებული კონკრეტული აქტივობები და მიდგომები ამ პრობლემების მოსაგვარებლად. მიუხედავად იმისა, რომ უმრავლესობა თვლიდა,რომ მათ მიერ ნასწავლი თეორიული მასალა რეალიზდებოდა პრაქტიკაში,ისინი მაინც ასახელებდნენ პრობლემებს, რომლებიც მოსწავლეების უმრავლესობას ჰქონდა.

დასკვნები

- საკანონმდებლო ბაზაში გრამატიკის სწავლებას სათანადო ყურადღება არ ექცევა. გრამატიკის საკითხები საკანონმდებლო ბაზაში ზოგადაა ფორმულირებული.
- ქართულ ენაში სახელთა აქტიური სწავლების მეთოდების შესახებ არსებული სამეცნიერო და მეთოდური სახელმძღვანელოები საკმაოდ მწირია, ფაქტობრივად არ არსებობს თანამედროვე მეთოდური სახელმძღვანელო, როგორც რაოდენობრივად, ასევე - ხარისხობრივად.
- სახელმძღვანელოების სიმწირემ განაპირობა გრამატიკული კატეგორიების, კერძოდ, სახელთა მეთოდური დაუმუშავებლობა, რაც თავის მხრივ ხელს უშლის სახელთა სწავლების მისაწვდომობას.
- სამაგისტრო თემის ფარგლებში კვლევის დროს გამოიკვეთა ტენდენცია, რომ მასწავლებელთა დიდ ნაწილს საერთოდ არ ესმის თანამედროვე სტრატეგიებისა და მეთოდების გამოყენებით გრამატიკის სწავლება, მათ უჭირს კონკრეტიზება, დაასახელება კონკრეტული აქტივობის, სტრატეგიის ან მეთოდის, სახელთა სწავლებისას. ზოგიერთი მასწავლებლისთვის ინოვაციური მეთოდები ასოცირდება უბრალოდ თამაშთან და ფიქრობენ, რომ რეალურად ფუნდამენტურ ცოდნას არ იძლევა. ზოგიერთი მათგანი კი ფიქრობს, რომ ინოვაციური მეთოდები ხელს უწყობს მოსწავლეებში ინტერესის აღძვრასა და მასალის შეგნებულად დასწავლას, ასევე ინოვაციური მეთოდები მოსწავლეებისთვის უფრო სახალისო და მრავალფეროვანია.
- კვლევამ ცხადყო, რომ მასწავლებლებს არ აქვთ საკმარისი რესურსი ინოვაციური მეთოდებით გრამატიკის სწავლებისას გამოსაყენებლად. ამასთანავე არ ტარდება გრამატიკის სწავლებასთან დაკავშირებით ტრენინგმოდულები რაც თავის მხრივ აფერხებს ინფორმირებას გრამატიკის, კერძოდ, სახელთა სწავლების თანამედროვე სტრატეგიების და მეთოდების გამოყენების შესახებ.
- მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ გრამატიკის სწავლებისთვის არ არის საკმარისი საათობრივი დატვირთვა.
- სახელმძღვანელოების ანალიზმა გვაჩვენა, რომ მეთოდური თვალსაზრისით სახელების სწავლება არასისტემურია, თანამიმდევრობა დარღვეულია და არ

მიჰყვება სწავლების ერთიან პრინციპს. ასაკთან შესაბამისობა არა არის გათვალისწინებული.

- გრამატიკული საკითხების გააზრებას ხელს უშლის მოსწავლეთა დიდი რაოდენობა კლასებში. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ კლასებში, სადაც მოსწავლეთა მცირე რაოდენობაა გრამატიკული საკითხების დასწავლა და ახალი მასალის მიწოდება უფრო უკეთ ხდება, ვიდრე მრავალრიცხოვან კლასებში.
- კვლევისას გამოჩნდა, რომ სახელთა სწავლებისთვის მასწავლებლებს კათედრაზე არ აქვთ შემუშავებული ერთიანი მიდგომა. გამოკითხულ მასწავლებელთა უმრავლესობა არ იყენებს სახელთა სწავლების თანამდროვე სტრატეგიებს.

რეკომენდაციები

- აუცილებელია დაიხვეწოს საკანონმდებლო ბაზა გრამატიკის სწავლებასთან დაკავშირებით. ვფიქრობ, საჭიროა ზოგადი ფორმულირების ნაცვლად უფრო კონკრეტულად და ზუსტად იყოს გაწერილი საკითხები.
- სახელმწიფოს როლი უნდა გაიზარდოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლასთან მიმართებით, სახელმწიფოს სტრუქტურებმა, რომლებსაც ეხებათ სწავლა სწავლების პროცესი ერთობლივად უნდა შეიმუშაონ ერთგვარი გეგმა, რომელიც ხელს შეუწყობს გრამატიკის სწავლებისას ახალი მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოების შექმნას, ძველის გადამუშავებას და გამდიდრებას თანამედროვე სტრატეგიებით და მეთოდებით.
- სასურველია გრამატიკისთვის საკმარისი საათობრივი დატვირთვა, რადგან საჭიროა უფრო მეტი დრო დაეთმოს სახელთა სწავლებას.
- მნიშვნელოვანია სახელმწიფომ პედაგოგებს შესთავაზოს გაცილებით მეტი სამეცნიერო ნაშრომი და სტატია ამ თემასთან დაკავშირებით. უნდა შეიქმნას მასწავლებლებისთვის მეთოდოლოგიური გზამკვლევი, რომელშიც დაწვრილებით იქნება გაწერილი კონკრეტული სახელისთვის შესაბამისი აქტივობა.
- მნიშვნელოვანია ჩატარდეს სხვადასხვა ხასიათის ტრენინგები მასწავლებლებისთვის, სადაც გააცნობენ თანამედროვე მეთოდებს და სტრატეგიებს, ამასთანავე ასწავლიან ამ მეთოდებისა და სტრატეგიების მორგებას გრამატიკულ კატეგორიებს.
- აუცილებელია სახელმძღვანელოების აგებისას საავტორო ჯგუფებმა იმუშაონ არა მხოლოდ სახელმძღვანელოს შინაარსობრივ მხარეზე, არამედ გაითვალისწინონ ისეთი მეთოდოლოგიური საკითხები, როგორებიცაა ასაკთან შესაბამისობა, სიტემურობა და თანმიმდევრულობა, მარტივიდან რთულისკენ გადასვლა.
- საავტორო ჯგუფებმა უნდა გამოიყენონ თანამედროვე მეთოდებითა და აქტივობებით შედგენილი სხვადასხვა ტიპი სავარჯიშოები, რომლებიც იქნება გათვლილი სხვადასხვა ტიპი სააზროვნო უნარებზე.
- სასურველია კლასებში ბავშვების რაოდენობის შემცირება, რაც ხელს შეუწყობს ასახსენელი მასალის უკეთ მიწოდებას და გაზრებას. ამ საკითხთან დაკავშირებით

ავთანდილ არაბული აღნიშნავს : „მასწავლებელმა ენობრივი ამოცანების გადაცემა რომ მოასწროს, კონტინგენტი უნდა ჰყავდეს შეზღუდული. საჯარო სკოლაში, სადაც კლასში ორმოცი ბავშვია, მნელია, ერთ გაკვეთილში ჩაატო გამოკითხვაც, ახსნაც და ენობრივი საკითხებიც. მასწავლებელი დროში ვერ ეტევა და გრამატიკა გერის როლში რჩება“.

- ჩემი აზრით, სკოლებმა კათედრებზე უნდა შეიმუშაონ სახელთა სწავლებისთვის ერთიანი მიდგომა,რომელსაც გამოიყენებენ მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ანფიმიადი, დ., გაბიჩვაძე ზ., ამირხანაშვილი, ი. ქართული ენა და ლიტერატურა, მე-7 კლასი, სრული კომპლექტი, გამომცემლობა „არტანუჯი“;
2. გაგუა, ვ. „ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდის საკითხები“, თბ., 1941;
3. გორდელაძე, ნ., კუხიანიძე, ქართული ენა და ლიტერატურა, მე-2 კლასი, სრული კომპლექტი, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“;
4. გორდელაძე, ნ., კუხიანიძე, ქართული ენა და ლიტერატურა, მე-3 კლასი, სრული კომპლექტი, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“;
5. გორდელაძე, ნ., კუხიანიძე, ქართული ენა და ლიტერატურა, მე-4 კლასი, სრული კომპლექტი, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“;
6. გორდელაძე, ნ., კუხიანიძე, თ., ქიტოშვილი, თ., ჩხენკელის, გ., ქართული ენა და ლიტერატურა, მე-5 კლასი, სრული კომპლექტი, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“;
7. გორდელაძე, ნ., კუხიანიძე, თ., ქიტოშვილი, თ., ჩხენკელის, გ., ქართული ენა და ლიტერატურა, მე-6 კლასი, სრული კომპლექტი, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“;
8. თალაკვაძე, მ. ქართული ენის სწავლების მეთოდის კა, თბ., 1959;
9. თედორაძე, თ. თამაშების როლი გრამატიკის სწავლებისას, სამეცნიერო ჟურნალი ენა და კულტურა;
10. იაშვილი, ი., ქისტაური, ლ., მესხორაძე, ნ., რაზმაძე ხ., მხეიძე, ნ., აბესაძე მ., ქართული ენა და ლიტერატურა, მე-2 კლასი, სრული კომპლექტი, გამომცემლობა „ტრიასი“;
11. იაშვილი, ი., ქისტაური, ლ., მესხორაძე, ნ., რაზმაძე ხ., მხეიძე, ნ., აბესაძე მ., ქართული ენა და ლიტერატურა, მე-3 კლასი, სრული კომპლექტი, გამომცემლობა „ტრიასი“;
12. იაშვილი, ი., ქისტაური, ლ., მესხორაძე, ნ., რაზმაძე ხ., მხეიძე, ნ., აბესაძე მ., ქართული ენა და ლიტერატურა, მე-4 კლასი, სრული კომპლექტი, გამომცემლობა „ტრიასი“;
13. ლორთქიფანიძე, დ. დიდაქტიკა, განვითარებისა და სწავლების თეორიები, თბ., 1981;

14. ლომიძე, ნ. ქართული ენისა და ლიტერატურის საგნის სწავლების პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესახებ <http://mastsavlebeli.ge/?p=10278> ;
15. მაღლაკელიძე, ნ. ქართული ენის სწავლების მეთოდთა/დიდაქტიკა I-VI კლასები, თბ., 2013;
16. მაღლაკელიძე, ნ. გრამატიკის როლი ქართული ენის სწავლების სისტემაში, სამეცნიერო ჟურნალი ენა და კულტურა;
17. მაღლაკელიძე, მ., ყურაშვილი, ც., მაღლაკელიძე, ე., ნადირაშვილი, ი., მეხაშიშვილი, ს., ქართული ენა და ლიტერატურა, მე-2 კლასი, სრული კომპლექტი, გამომცემლობა „მერიდიანი“;
18. მაღლაკელიძე, მ., ყურაშვილი, ც., მაღლაკელიძე, ე., ნადირაშვილი, ი., მეხაშიშვილი, ს., ქართული ენა და ლიტერატურა, მე-3 კლასი, სრული კომპლექტი, გამომცემლობა „მერიდიანი“;
19. მაღლაკელიძე, მ., ყურაშვილი, ც., მაღლაკელიძე, ე., ნადირაშვილი, ი., მეხაშიშვილი, ს., ქართული ენა და ლიტერატურა, მე-4 კლასი, სრული კომპლექტი, გამომცემლობა „მერიდიანი“;
20. მაღლაკელიძე, ნ., ღონღაძე, ნ., ღონღაძე, თ., ცხადაია, თ., კვანჭიანი, დ., ჯაში, ნ., თოდუა, ნ., კუცია, ნ., ქართული ენა და ლიტერატურა, მე- 8 , სრული კომპლექტი, გამომცემლობა „მერიდიანი“;
21. მაღლაკელიძე, ნ., ღონღაძე, ნ., ღონღაძე, თ., ცხადაია, თ., კვანჭიანი, დ., ჯაში, ნ., თოდუა, ნ., კუცია, ნ., ქართული ენა და ლიტერატურა, მე- 9 კლასი, სრული კომპლექტი, გამომცემლობა „მერიდიანი“;
22. როდონაია, ვ., ნაკუდაშვილი, ნ., არაბული, ა., ხუციშვილი, მ., ქურციკიძე, ე., ქართული ენა და ლიტერატურა, მე-5 კლასი, სრული კომპლექტი, „საგამომცემლო სახლი სწავლანი“;
23. როდონაია, ვ., ნაკუდაშვილი, ნ., არაბული, ა., ხუციშვილი, მ., ქურციკიძე, ე., ქართული ენა და ლიტერატურა, მე-6 კლასი, სრული კომპლექტი, „საგამომცემლო სახლი სწავლანი“;

24. როდონაია, ვ., ნაკუდაშვილი, ნ., არაბული, ა., ხუციშვილი, მ., ქურციკიძე, ე., ქართული ენა და ლიტერატურა, მე-7 კლასი, სრული კომპლექტი, „საგამომცემლო სახლი სწავლანი“;
25. როდონაია, ვ., ნაკუდაშვილი, ნ., არაბული, ა., ხუციშვილი, მ., გიგინეიშვილი, მ., გრიგოლაშვილი, ლ., დათაშვილი, ლ., ქართული ენა და ლიტერატურა, მე-8 კლასი, სრული კომპლექტი, გამომცემლობა „სწავლანი“;
26. როდონაია, ვ., ნაკუდაშვილი, ნ., არაბული, ა., ხუციშვილი, მ., გიგინეიშვილი, მ., გრიგოლაშვილი, ლ., დათაშვილი, ლ., ქართული ენა და ლიტერატურა, მე-9 კლასი, სრული კომპლექტი, გამომცემლობა „სწავლანი“;
27. სახეჩიძე, ნ., ხაჭვანი, ნ., ჭელიძე, ლ., არველაძე, ანა., ქართული ენა და ლიტერატურა, მე-2 კლასი, „აბიტურიენტთა ინტენსიური მომზადების ცენტრი“;
28. სახეჩიძე, ნ., ხაჭვანი, ნ., ჭელიძე, ლ., არველაძე, ანა., ქართული ენა და ლიტერატურა, მე-3 კლასი, „აბიტურიენტთა ინტენსიური მომზადების ცენტრი“;
29. სახეჩიძე, ნ., ხაჭვანი, ნ., ჭელიძე, ლ., არველაძე, ანა., ქართული ენა და ლიტერატურა, მე-4 კლასი, „აბიტურიენტთა ინტენსიური მომზადების ცენტრი“;
30. ფურცელაძე, ნ. ქართული ენის სწავლების პრობლემები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში;
31. შარაშენიძე, ნ., თუშური, ლ., წიქარაშვილი, ჯ., ქართული ენა და ლიტერატურა, მე-7 კლასი, გამომცემლობა „დიოგენე“;
32. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა (დაწყებითი და საბაზო საფეხურის) 2018-2024 წწ;
33. გზამკვლევი მასწავლებლებისთვის I-VI კლასები, 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმების მიხედვით;
34. გზამკვლევი მასწავლებლებისთვის VI-XII კლასები, 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმების მიხედვით;
35. საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ;
36. ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი სტანდარტი;
37. <http://mastsavlebeli.ge/?p=20506>;
38. <http://mastsavlebeli.ge/?p=12439>;

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Psychology and Education Sciences

Master Program "Teacher Education"

Mamagulashvili Nato

Name Learning Practice Study at the Primary School and Basic Level

The thesis is submitted to gain the Master's degree in Teacher Education

Supervisor: Zakaria Kitiashvili,
Doctor of Education Sciences,
TSU Associate Professor

Tbilisi
2019